# ახალგაზრდა ივერიელი

სამშაბათი,
3 აპრილი,
1990 წ.
№ 36 (11522)

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი


## მრავალშვილიან



## ოჯახთა



## შეკრება



31 მარტს, თბილისის სპორტის სასახლეში სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების შემოქმედებითი გაერთიანება „ვაზის“ ინიციატივით მოეწყო შეხვედრა მრავალშვილიან ოჯახებთან.

ეს ფოტორეპორტაჟიც ამ შეხვედრის მომენტებს ასახავს.

გივი კიკვაძის ფოტოები.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.



## არის!..

## პირველი ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

მასალები იხილეთ მე-8 გვ.

# საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები გასაბჭოების შემდეგ

## ანუ

## ისევ ისტორიის „თეთრი ლაქების" შესახებ

**საქართველოს** სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიამ მიმდინარე წლის 9 მარტს, კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაგმობილ იქნას საქართველოს ოკუპაცია და ფაქტიური ანექსია რუსეთის მხრიდან, როგორც საერთაშორისო დანაშაული და საქართველო რუსეთთან ურთიერთობაში აღდგეს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით აღიარებული უფლებებით, ეს იმიტომ, რომ თუ სრულ სუვერენიტეტზეა საუბარი, ამ ხელშეკრულებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სავსებით გამოეყო რუსეთს, იურიდიულად გაწყვიტა მასთან ყოველგვარი სახელმწიფო-სამართლებრივი კავშირი და დაამყარა მარტოოდენ საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობა, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების სრული დაცვით, რაც გულისხმობს სახელმწიფოთა პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვაგვარ ურთიერთობებში მათი უფლებების და მოვალეობების საერთაშორისო ხელშეკრულებით გადაწყვეტას. ამგვარი ხელშეკრულებები, რომლებიც სხვადასხვა სახელწოდებით შეიძლება შეგვხვდეს — შეთანხმება, ოქმი, კონვენცია, პაქტი, კომუნიკე, საერთაშორისო სამართლის ის ძირითადი წყაროა, რომელიც ხალხთა უშიშროების განმტკიცების და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. იგი ყველა სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტთან შედარებით ზემდგომი აქტია და რა იურიდიული ძალის მქონეც არ უნდა იყოს, ვერ შეცვლის ან შეწყვეტს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. საერთაშორისო ხელშეკრულებაში გამოხატული უნდა იყოს თავისუფალი ნება ხელშეკრულების სუბიექტი სახელმწიფოებისა. ამიტომ საქართველო თავისი სუვერენული უფლებების აღსადგენად ეყრდნობა არა კონსტიტუციური (სახელმწიფოებრივი) მნიშვნელობის აქტებს, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, სადაც საქართველო გამოხატავდა თავისუფალ ნებას სხვა სახელმწიფოებთან კავშირურთიერთობისას.

რუსეთ-საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისის შემდეგ კვლავ დაიდო ხელშეკრულება 1921 წლის 21 მაისს, რომელიც ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის აქტია და ორმხრივად საინტერესო განსახილველად. ერთი იმიტომ, რომ ეს ხელშეკრულება საქართველოსათვის განსაკუთრებულ პირობებში დაიდო, და მეორე — რამდენად შეესაბამება იგი საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ წესებსა და პირობებს.

დღეს, საჯაროობისა და გარდაქმნის ეტაპზე, რაც ჩვენმა საზოგადოებამ „ისტორიის თეთრი ლაქების" შევსება დაიწყო, 1921 წლის 25 თებერვლის აქტი ოფიციალურ დონეზე შეფასდა როგორც რსფსრ-ს მხრიდან დემოკრატიული საქართველოს ოკუპაცია არსებული წესწყობილების შეცვლის მიზნით და ქვეყნის ფაქტიური ანექსია. საქართველოს ოკუპაციით, რუსეთმა მიღწეულად ჩათვალა ის მიზანი, რისთვისაც განხორციელდა მისი ჯარის შემოჭრა საქართველოში; დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა და საბჭოთა წესწყობილების დამყარება საქართველოში განაღდებული იყო დიერთა თვითგამორკვევის მედროშე სახელმწიფოს, ჩაგრული ხალხის ქომაგთა პოზიციებიდან მსოფლიო ასპარეზზე ჰირდებოდა გამოსავლის მონახვა; ამიტომ საოკუპაციო რეჟიმის ფორმალური გაუქმება და საქართველოსთან კავშირის დამყარება — ეს იყო ის სიტუაცია, რისთვისაც გაფორმდა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვლის ომის შემდგომ 21 მაისის ხელშეკრულება.

საბჭოთა რუსეთის მხრიდან 1921 წლის თებერვალში განხორციელებული დემოკრატიული საქართველოს აგრესიის გამო (ზოგადსამართლებრივი კვალიფიკაცია), 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულება ბათილია. თანაც აბსოლუტურად ბათილი, რადგანაც საერთაშორისო სამართალი იცნობს ხელშეკრულებების ბათილობის სხვა ფორმასაც — ფორმალურ ბათილობას. აბსოლუტურ ბათილობას იწვევს ისეთი წესით დადებული ხელშეკრულებები, როგორიცაა ერთი მხარის მიერ მეორე მხარის წარმომადგენელთა მიმართ იძულების გამოყენება, ძალით დამუქრება სახელმწიფოს მიმართ; საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებთან შეუსაბამობა და ა. შ. აღნიშნული ხელშეკრულება კი აგრესორმა სახელმწიფომ ძალის გამოყენებით (საოკუპაციო რეჟიმი) თავს მოახვია მსხვერპლ სახელმწიფოს.

საინტერესოა ისიც, თუ რას წარმოადგენდა 21 მაისის ხელშეკრულება და რამდენად კანონიერადაა იგი შედგენილი. თვით სახელწოდება (მუშურ-გლეხური სამოკავშირო ხელშეკრულება) ამ დოკუმენტის კლასობრივ ბუნებაზე და მის დანიშნულებაზე მიუთითებს, რომ მხარეთა შორის დადებული აქტი მუშურ-გლეხურია — მათი ინტერესების შესაბამისია და მხარეთა მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ მუშებისა და გლეხების საერთო ინტერესებით. რაც შეეხება ხელშეკრულებით დამყარებულ იურიდიულ ურთიერთობის რაობას — აქ მხარეთა მიმართება კავშირის ხასიათს ატარებს ე. ი. მხარეები ერთი და იმავე ტიპის და ფორმის სახელმწიფოს — საბჭოების რესპუბლიკებს წარმოადგენენ. მაშინ როცა რსფსრ-ში ხელისუფლების ორგანოებად საბჭოები გვევლინებიან, საქართველოში კი ხელისუფლება ისევ დროებითი, საგანგებო ორგანოების — რევოლუციური კომიტეტების ხელშია. ხელშეკრულების პრეამბულა განსაზღვრავს მხარეთა სრულუფლებიან წარმომადგენლებს: რსფსრ მხრიდან საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი — გიორგი ჩიჩერინი, საქართველოს მხრიდან განათლების სახალხო კომისარი — მამია ორახელაშვილი. მამია ორახელაშვილი ამ პერიოდში წარმოადგენდა საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარის მოადგილე — საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს. ხოლო განათლების სახალხო კომისრის თანამდებობა მას დროებით ჰქონდა შეთავსებული ამ თანამდებობაზე დანიშნული ალექსანდრე სვანიძის არ ყოფნის გამო. ხელშეკრულებით რატომღაც მამია ორახელაშვილი გაგზავნილია არა როგორც საგარეო საქმეთა კომისარი, არამედ, როგორც სახალხო განათლების კომისარი.

ხელშეკრულება ძირითადად ითვალისწინებდა სამხედრო და სამეურნეო კავშირს, სახელმწიფო აპარატის სათანადო დარგების ერთიანობას. რსფსრ—უკრაინის 1920 წლის 28 დეკემბრის და რსფსრ-ბელორუსიის 1921 წლის 16 იანვრის მუშურ-გლეხური სამოკავშირო ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომლებმაც იურიდიულად განამტკიცეს ფაქტიურად გაერთიანებული რამდენიმე კომისარიატი (სამხედრო და საზღვაო საქმეთა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, საგარეო ვაჭრობის, ფინანსების, შრომის, გზათა მიმოსვლის და ფოსტა-ტელეგრაფი), რუსეთ-საქართველოს ეს ხელშეკრულება სამხედრო და სამეურნეო კავშირის უკეთ განხორციელების მიზნით, ითვალისწინებდა დამატებით შეთანხმებას მხარეებს შორის სამხედრო ორგანიზაციისა და სამეურნეო ორგანოების გაერთიანებისათვის. დამატებით შეთანხმებას უნდა გადაეწყვიტა გაერთიანების ფორმა და წესი (მე-4 მუხლი), ხოლო გაერთიანებული ორგანოების ხელმძღვანელობა (მე-5 მუხლი) ხორციელდებოდა სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობისა და ცაკ-ის მეშვეობით, სადაც შეყვანილი იქნებოდნენ საქართველოს წარმომადგენლები.

ხელშეკრულების ეს ნაწილი შედარებით უფრო მძიმეა, რადგანაც იგი გულისხმობდა ხელმძღვანელი ორგანოების შექმნას არა პარიტეტულ საწყისებზე, არამედ საქართველოს ორგანოების მიერთებას რსფსრ-ს შესაბამის ორგანოებთან. აზერბაიჯანთან რსფსრ-ს მიერ დადებული ხელშეკრულება ამგვარ მუხლს საერთოდ არ შეიცავდა. სომხეთის სსრ და რსფსრ-ს შორის ხელშეკრულების პროექტი ზუსტად ისეთი იყო, როგორც საქართველოსთან დადებული მუშურ-გლეხური ხელშეკრულება, მაგრამ იგი მხარეთა მიერ ხელმოწერილი არ ყოფილა. თუმცა საბჭოთა რუსეთი ოფიციალურ განცხადებაში, ნოტაში, საერთაშორისო ხელშეკრულებაში სომხეთს ყოველთვის იხსენიებდა მოკავშირედ.

ამდენად, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულება, გარდა იმისა, რომ საოკუპაციო რეჟიმის დროს განსაკუთრებული სიტუაციისათვისაა შედგენილი, იგი არის კლასობრივი ხასიათის და რსფსრ მხრიდან დადებულია არა საბჭოების რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენელთან, არამედ დროებით, საგანგებო ორგანოების რევკომის წარმომადგენელთან და თავისი შინაარსით გულისხმობს არა სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირს, როგორც ეს პრეამბულაშია ნათქვამი, არამედ ოკუპირებული ქვეყნის სამხედრო და სამეურნეო მიერთებას აგრესორი სახელმწიფოსადმი.

რაც შეეხება შემდგომ ხელშეკრულებას, ესაა 1922 წლის 12 მარტის ხელშეკრულება ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. რამ განაპირობა ამ რესპუბლიკათა მჭიდრო ეკონომიკური და შემდეგ პოლიტიკური კავშირი? აქ ცოტა ისტორიას გადავხედოთ.

საბჭოთა რუსეთისათვის საქართველო და მთელი ამიერკავკასია ნედლეულის ბაზას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ ამიერკავკასიის რესპუბლიკების გასაბჭოებამდე, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ ცნო (მათ შორის რსფსრ-მ), 1920 წელს შედგენილ გოელროს გეგმაში განსაკუთრებული სიღრმით დასაბუთდა ამ მხარის რესურსების რაციონალურად და კომპლექსურად გამოყენების აუცილებლობა და რუსეთი არ აპირებდა ხელიდან გაეშვა ამიერკავკასიის რესპუბლიკები არც როგორც ეკონომიკური და არც როგორც პოლიტიკური ერთეული. ეს კარგად ჩანს ლენინისაგან ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ დეპეშაში, რომ „დაბეჯითებით მოვითხოვ შექმნათ საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის", (გაზ. „კომუნისტი" № 26, 1922 წ. 3-II); ლენინმა თვითონვე შეიმუშავა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის კონკრეტული გზების პროექტიც, რომლის გათვალისწინებით 1921 წლის 16 აგვისტოს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს დადგენილებას — კავკასიის ეკონომიკური ბიუროს დაარსების შესახებ. ასეთი წესით შექმნილი ორგანო ეკონომიკურ დამოუკიდებლობას წაართმევდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, მაშინ, როცა, მომავალი ამიერკავკასიის სამოკავშირეო ურთიერთობის სუბიექტების გარკვეული წარმომადგენლები — ნაციონალ უკლონისტები — ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და კავშირის დამყარებას მოითხოვდნენ კონვენციის საფუძველზე. ასეთივე წინააღმდეგობა გამოთქვეს სოციალ-რევოლუციონერთა პარტიამ, სოციალ-ფედერალისტთა პარტიამ, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ. მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა 1922 წლის 12 მარტს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ცაკ-ის სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციაზე გაფორმდა სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც 13 მუხლისაგან შედგება და ხელს აწერს ამიერკავკასიის ფედერაციის სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციის პრეზიდიუმი (ფ. მახარაძე; ს. ამბარცუმიანი; მ. ჰაჯიევი).

მართალია, ეს ხელშეკრულება დღეს შეწყვეტილად ითვლება, მაგრამ იგი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მის საფუძველზე შეიქმნა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება სსრკ შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით. სსრკ-ს შემადგენლობაში საქართველო შევიდა ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით ე. ი. ამ ეტაპზე აღნიშნული ფედერაცია 1922 წლის 30 დეკემბერს დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფო ერთეულს წარმოადგენდა, რომელიც ასევე ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილ სახელმწიფოდ არის მიჩნეული. საქმე ისაა, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია შეიქმნა 1922 წლის 10-13 დეკემბერს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ერთიანი საბჭოების პირველ ყრილობაზე.

1922 წლის 12 მარტის ხელშეკრულება ითვალისწინებდა იმას, რომ სომხეთი საქართველო და აზერბაიჯანი ამყარებდნენ ერთმანეთთან, მჭიდრო „სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირს".

ამ კავშირის უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც პარიტეტულ საწყისებზე იქმნებოდა კავშირის წევრ სახელმწიფოების მთავრობათგან არჩევის გზით. წარმომადგენელთა კონფერენცია ირჩევდა აღმასრულებელ ორგანოს — საკავშირო საბჭოს, რომლის შემადგენლობაში გაერთიანდა შემდეგი სახალხო კომისარიატები: სამხედრო საქმეთა, ფინანსების, საგარეო საქმეთა, ფოსტა-ტელეგრაფის, საგარეო ვაჭრობის, გზათა მიმოსვლის.

კონფერენციას უფლება ჰქონდა შეეჩერებინა ან შეეწყვიტა ყველა აღმასრულებელ ორგანოს დადგენილება და გადაწყვეტილება, როგორც ხელშეკრულების დამდები რესპუბლიკების მთავრობათა პროტესტით, ასევე თავისი შეხედულებით. ე. ი. შეიქმნა საერთაშორისო ხელშეკრულებაზე დამყარებული ფედერაციული კავშირი, სადაც ხელშეკრულების მონაწილე რესპუბლიკები თავიანთი კონსტიტუციით აღიარებულ სუვერენულ უფლებებს ინარჩუნებდნენ და მხოლოდ ნაწილს გადასცემდნენ ფედერაციის უმაღლეს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს.

მაგრამ ფედერაციისათვის ბრძოლა ბოლშევიკებმა დიდ პოლიტიკურ კამპანიად გადააქციეს, რომელმაც აამოძრავა და დარაზმა მშრომელი მასები ლოზუნგით, „ეროვნული მშვიდობიანობისათვის ბრძოლა კვლავ წარმოადგენს კომუნისტური პარტიის. ძირითად პოლიტიკურ ამოცანას". 1922 წლის 5 აპრილს რკპ (ბ) ცკ-მა მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ და „დაავალა ამიერკავკასიის კომპარტიას აუცილებლად და უყოყმანოდ გაატაროს ცხოვრებაში ეს გადაწყვეტილება (პარტარქივი; ფ. 12; საქ. 47, ფ. 9).

საბჭოთა რუსეთი ეყრდნობოდა კომუნისტური პარტიის აგების ერთიან ცენტრალურ სისტემას, მისი გადაწყვეტილების შესრულების სავალდებულობა ეხებოდა მხოლოდდამხოლოდ საქართველოს კომუნისტურ პარტიას (და არა ხელისუფლების ორგანოებს), რომელსაც უნდა ეზრუნა „პროპაგანდისა და საბჭოურად ქვევიდან გატარებისათვის" (ლენინი ტ. 3. გვ. 134). რაც პრაქტიკული განხორციელების მხრივ მოითხოვდა დროის განსაზღვრულ პერიოდს

ეს იყო ვ. ი. ლენინის პროექტი ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ 1921 წლის 28 ნოემბერს შედგენილი, (რომელიც დაამტკიცა რკპ(ბ) ცკ-მ 1922 წლის 29 ნოემბერს. ამ შემთხვევაში დროის განსაზღვრულ პერიოდის მოთხოვნა ლენინის მიერ გაპირობებული იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოების არ არსებობით (საქართველოში საბჭოების I ყრილობა 1922 წლის თებერვალში იქნა მოწვეული) და ამ იდეის საბჭოების გარეშე განხორციელება აშკარად თავსმოხვეულ აქტად ჩაითვლებოდა:

პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდით ამიერკავკასიის ფედერაციული ერთიანი რესპუბლიკის შექმნის პროპაგანდამ თავისი შედეგი ვერ გამოიღო ვერც საქართველოში, ვერც სომხეთსა და აზერბაიჯანში. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის უკლონისტური მიმართულება ოფიციალურად დაუპირისპირდა რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რის გამო — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი 1922 წლის 22 ოქტომბერს კოლექტიურად გადადგა პროტესტის ნიშნად. შემდეგ კი დააყენეს საკითხი რკპ (ბ) გამოსვლისა და მისი გვერდის ავლით, პირდაპირ III ინტერნაციონალში შესვლის შესახებ. ამის საპირისპიროდ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი ცდილობს უფრო მაღალი ფორმით, ხელისუფლების გაერთიანებული ორგანოების მეშვეობით დააკანონოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია ერთიანი რესპუბლიკის სახით, რაც კიდევაც გაფორმდა იურიდიულად 1922 წლის 10-13 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობაზე მიღებული კონსტიტუციით.

როგორი იურიდიული შეფასება უნდა მიეცეს ამ ფაქტს? 1922 წლის 10-13 დეკემბერს კონსტიტუციით გაფორმებული ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა უკანონოდ უნდა იქნეს ცნობილი, იმ მოტივით, რომ იგი არ შეესაბამება 1922 წლის 12 მარტის ხელშეკრულებას, როგორც უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტს. ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ერთიანი სახელმწიფოს შექმნას, არც ხელისუფლების ორგანოთა აგების იმ პრინციპს აღიარებდა, როგორც ეს ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუციამ დააკანონა. ხელშეკრულებით უმაღლეს ორგანოს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ცაკ-ების სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენცია წარმოადგენდა, რომელსაც მხარეებმა გადასცეს სუვერენული უფლებების ნაწილი, რაც შეეხება ხელისუფლების უფრო მაღალი ფორმის — ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობის მოწვევა და ამიერკავკასიის ცაკ-ის შექმნას, ეს საკითხი სრულუფლებიან კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა ან სუვერენულ რესპუბლიკებს ახალი ხელშეკრულებით და არა კომუნისტური ორგანიზაციების კონფერენციას, რომლის გადაწყვეტილებამ არ შეიძლება შეწყვიტოს ან შეცვალოს უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის — საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლები. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, რამდენადაც უგულვებელყოფილია მხარეთა თავისუფალი ნება, რაც კარგად ჩანს ამიერკავკასიის ფედერაციის 1922 წლის კონსტიტუციის 31-ე მუხლში და 1925 წლის კონსტიტუციის პირველ მუხლში, რომლის ძალით ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს ჰქონდათ კავშირიდან არა თავისუფალი გასვლის უფლება, არამედ მხოლოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოების ყრილობის ან მისი ცაკ-ის დასტურით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ერთი რესპუბლიკა კავშირიდან გასვლას მოინდომებდა და ასეთი სურვილი სხვა რესპუბლიკებს არ ექნებოდათ ხმათა უმრავლესობას ყრილობაზე ვერ მოაგროვებდა და ვერც ცაკ-ის დასტურს მიიღებდა. აქ მშვენივრად იყო გამოყენებული „მორჩილ უმრავლესობაზე" დაყრდნობის პოლიტიკა. ცხადია, რომ ასეთ სუვერენულ უფლებას, როგორც კავშირიდან გასვლის უფლებაა, ამიერკავკასიის რესპუბლიკები საკავშირო ორგანოს ნებით არ გადასცემდნენ.

(დასასრული მე-3 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ისტორია პორტრეტებში

## მობიდანი




**V ს. I ნახევრის** ქართლის საერო და საეკლესიო მოღვაწეებზე ძლიერ მწირი ცნობები მოგვეპოვება. ჯუანშერის მიხედვით არჩილის მეფობის წლებში **„გარდაიცვალნეს სამნი ეპისკოპოსნი. იოანე, გრიგოლი და ბასილი. და ბასილისა შემდგომად ამავე არჩილ დასუა ეპისკოპოსი, რომელსა ერქუა მობიდან. ესე იყო ნათესავად სპარსი და აჩვენებდა იგი მართლმადიდებლობასა, ხოლო იყო ვინმე მოგუ უსჯული და შემშლელი წესთა, და ვერ უგრძნა არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მობიდანისი, არამედ ჰგონებდეს მორწმუნედ. და ვერცა განაცხადებდა ქადაგებასა, სჯულისა მისისასა შიშისაგან მეფისა და ერისა, არამედ ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა, რომელი შემდგომად მისსა დაწუა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ,** რომელი განიკვეთა კადნიერებისათვს ვახტანგ მეფისა", „საცთუნებელი წიგნების" ავტორის მრწამსისა თუ პოლიტიკური ორიენტაციის საჩვენებლად საჭიროა გავარკვიოთ ქართლის იმდროინდელი ვითარება და ამის გათვალისწინებით განვსაზღვროთ მობიდანის როლი ჩვენი ერის ისტორიაში.

●

ნიზიბისის ზავის 338 წ. გასვლის შემდეგ კვლავ გაჩაღდა ბრძოლა რომ (ბიზანტია)-სპარსეთის შორის. 363 წლის ე. წ. „სამარცხვინო ზავამდე" ქართლი რომის პროტექტორატის მიუხედავად მეტნაკლებად დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა. მალე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. 368 წელს სპარსელები ქართლში შემოიჭრნენ, გააძევეს პრორომაული ორიენტაციის მეფე საურმაგი და ტახტზე მისივე ნათესავი ასფაგური აიყვანეს. 377 წელს რომაელები ქართლში საბოლოოდ დამარცხდნენ, რის შემდეგ ქართლი სპარსეთის უშუალო გავლენის ქვეშ მოექცა. ახალი სიუზერენი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ამიერკავკასიის ნებისმიერ ქვეყანას ბიზანტიის პოლიტიკურ მომხრედ თვლიდა, დევნიდა ქრისტიანებს, რამაც სპარსეთის შაჰ შაბურ II (309-379) ზეობის წლებში სისტემატიური ხასიათი მიიღო.

შაჰმა იეზდიგერდ I (399-420 წწ.) შეცვალა კურსი. მან გაითვალისწინა ბიზანტიელთაგან სირიულ-არამეული ქრისტიანული მოსახლეობის შევიწროება და შეეცადა ქვეშევრდომ ქრისტიან ქვეყნებში სირიული საეკლესიო ტრადიციების დამკვიდრებას. ამ მიზნით ჰკვიანმა შაჰინ-შაჰმა სპარსეთში, თავისუფალი არსებობის საშუალება მისცა ბიზანტიის ოფიციალურ რელიგიურ აღმსარებლობასთან დაპირისპირებულ ქრისტიანულ მიმდინარეობებს. ფრიად სიმპტომატურია, რომ 420 წელს სირიულ-სპარსული ეკლესიის კათალიკოს მარ- იაჰბალახას თავმჯდომარეობით სელევკია-კტესიფონში შემდგარ კრებაში მონაწილეობდნენ ქართლის ეპისკოპოსებიც. მართალია, ამ დროისთვის ჩვენი ეკლესია სირიულ-სპარსული საკათალიკოსოს ძლიერ გავლენას განიცდის, მაგრამ კანონიკურად კვლავინდებურად ბიზანტიის მართლმადიდებელ ეკლესიაზეა დამოკიდებული.

ქართლის მეფე მირდატმა სცადა ესარგებლა 421-422 წლების ბიზანტია-სპარსეთის ხანმოკლე ომით, განთავისუფლებულიყო სპარსთა ბატონობისაგან და დაებრუნებინა ბიზანტიელებისაგან მიტაცებული თავისი ქვეყნის ზოგიერთი მონაპირე პროვინცია. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით იგი **„მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა"**, თუმცა ამით ვერაფერს ვერ მიაღწია. აღნიშნული ომის დამთავრების შემდეგ სპარსელებმა ქართლისთვის მოიცალეს, მირდატის წინააღმდეგ დიდი ლაშქარი გამოგზავნეს. ქართველები გარდაბანთან დამარცხდნენ, ხოლო მათი მეფე მოწინააღმდეგემ ტყვედ იგდო და სპარსეთში გაგზავნა, სადაც გარდაიცვალა კიდეც სამშობლოსათვის მგზნებარე მებრძოლი.

ღირსეული მამულიშვილის ტახტს იკავებს არჩილი (დაახ. 422-437 წწ), რომლის დროსაც ქართლში სპარსელებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. 424 წელს არაბეთის ერთ-ერთ ქალაქში გამართულ საეკლესიო კრებაზე ირანის კათალიკოსი დადიშო იძულებული გახდა ბიზანტიის მართლმადიდებელი ეკლესიისგან სელევკია-კტესიფონის საკათალიკოსოს სრული ავტოკეფალია გამოეცხადებინა. ამ აქტით აღნიშნული საკათალიკოსო შაჰინ-შაჰების პოლიტიკის მორჩილ იარაღად იქცა, რამაც თავის მხრივ განსაზღვრა როგორც არჩილის დროინდელი ქართლის უმაღლესი საეკლესიო იერარქების — მთავარეპისკოპოსების გრიგოლისა და ბასილის, ისე მთელი ქართული ეკლესიის იძულებითი დამორჩილება სპარსეთის საკათალიკოსოსადმი. რა თქმა უნდა, ჩვენი წინაპრები არ შერიგებიან აღმოსავლელი სიუზერენის მიერ ზურგგამაგრებულ სირიულ-სპარსული ეკლესიის კულტურულ-პოლიტიკურ ექსპანსიას, მაგრამ მათი ბრძოლა ყოველთვის შედეგიანი როდი იყო. ვფიქრობთ, ამ მწვავე იდეური დაპირისპირების შედეგია ქართლის ეპისკოპოსის იერემიას გამგზავრება ეფესოს 431 წლის მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებაში მონაწილეობის მისაღებად. მართალია, ქართველმა იერარქმა ეფესომდე ვერ მიაღწია, მაგრამ სამაგიეროდ მჩქეფარე ანტინესტორიანული მოღვაწეობა გააჩაღა კონსტანტინოპოლში თანამოაზრეებთან ერთად. როგორც ცნობილია, ქრისტიანობის ეს განშტოება (უფრო ზუსტად ერესი) ემყარებოდა სირიულ-სპარსული ეკლესიის ტრადიციებთან მჭიდროდ დაკავშირებულ ანტიოქიურ საღვთისმეტყველო სკოლის თეოლოგიურ აზროვნებას. ამიტომ კონსტანტინოპოლში იერემიას მიერ გაშლილი ანტინესტორიანული საქმიანობა ქართლში მომძლავრებული სპარსეთის ქრისტიანული ეკლესიის კულტურულ-პოლიტიკური ექსპანსიის წინააღმდეგ მიმართული აქციაც იყო. ეფესოს კრებაზე ნესტორიანობის დაგმობას ქართლის ეკლესიისათვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, რადგანაც მისი მიმდევრები ბიზანტიის აღმოსავლურ პროვინციებში კვლავ საკმაოდ გავლენიან ძალას წარმოადგენდნენ. აღნიშნული მიმდინარეობის (ერესის) თეოლოგიურ ცენტრში, ქ. ედესის ე. წ. „სპარსთა" საღვთისმეტყველო სკოლაში ჯერ კიდევ 428 წლამდე ბერძნულიდან სირიულად ითარგმნა ნესტორიანული ქრისტოლოგიის ფუძემდებლების დიოდორე ტარსელის და თეოდორე მოფსუესტელის შრომები, ხოლო როდესაც ეფესოს საეკლესიო კრებამ დაგმო ნესტორიუსის პიროვნებაც და მოღვაწეობაც, მისი მიმდევრები შეუდგნენ დიოდორესა და თეოდორეს თხზულებების გავრცელებას ამიერკავკასიაში, რაც ჩვენი ეკლესიის თვითმყოფადობას დიდ საფრთხეს უქმნიდა.

არჩილის სიცოცხლის ბოლო წლებში სპარსეთის კულტურულ-პოლიტიკურმა ექსპანსიამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, რასაც დიდად შეუწყო ხელი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტახტზე გარდაცვლილი ბასილის მაგივრად მობიდან მთავარეპისკოპოსის ასვლამ. ახალი მღვდელმთავარი სირიულ-სპარსული ყაიდის ქრისტიანობის მიმდევარი იყო და ჩანს ქართლის უმაღლეს საეკლესიო თანამდებობაზე სპარსელთა კარნახით იქნა აყვანილი. მობიდანი ფრიად კოლორიტული ფიგურაა. მართალია, მისი ნამდვილი სახელი დღესდღეობით ჩვენთვის უცნობია (გამოთქმულია ვარაუდი, რომ მას უნდა რქმეოდა იოველი, ხოლო მობიდანი ზოროასტრიელი მოგვების მღვდელმთავრის ტიტულს უკავშირდება და სპარსეთის ხელისუფლებასთან მთავარეპისკოპოსის მჭიდრო კავშირზე უნდა მიუთითებდეს), მაგრამ ეროვნებით ირანის სირიული ეკლესიის მოღვაწეთა დიდი ნაწილის მსგავსად სპარსი ყოფილა. სავარაუდოა, რომ თავდაპირველად ზოროასტრიელ მოგვს შემდეგ ქრისტიანობა მიუღია და სპარსული ეკლესიის ერთ-ერთი იერარქთაგანი გამხდარა. საფიქრებელია მობიდანმა თავის სამშობლოში მიიღო ღრმა თეოლოგიური განათლება, რის შედეგადაც ის ანტიოქიური საღვთისმეტყველო ტრადიციისა და მის საფუძველზე აღმოცენებული ნესტორიანობის ერთ-ერთი უერთგულესი მიმდევარი გახდა.

ქართლის მთავარეპისკოპოსის პატივში აყვანისთანავე მობიდანი ენერგიულად შეუდგა თავის სამწყსოში ნესტორიანობის გავრცელებას. ქართულად თარგმნა ანტიოქიური საღვთისმეტყველო სკოლის წამყვანი თეოლოგების დიოდორე ტარსელის და თეოდორე მოფსუესტელის თხზულებები, რომელთა ნაშრომებს ჩვენი ეროვნული საისტორიო მწერლობა უწოდებს **„წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა"**. მართალია, პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ სავარაუდოა, რომ მობიდანისა და მისი მომხრეების მიერ ქართლში ადგილი ჰქონდა საკუთრივ ნესტორიუსის შრომების გავრცელებას, რომლებიც ბიზანტიის იმპერიაში სასტიკად იდევნებოდნენ. არჩილის მმართველობის ბოლო პერიოდში მოღვაწე მთავარეპისკოპოსი მეტად ფრთხილი, წინდახედული, ჰკვიანი პიროვნება ჩანს. ამის დასტურია მატიანეს ჩვენება, რომ **„ვერ უგრძნა არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მობიდანისი, არამედ ჰგონებდეს მორწმუნედ"** მოხერხებულ, ცბიერ მღვდელმთავარს სიკვდილამდე ეპყრა ქართლის უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების ტახტი და მხოლოდ მობიდანის გარდაცვალებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მოხერხდა მისი **„საცთუნებელი წიგნების"** დაწვა, რაც პიროვნულ სიძლიერესთან ერთად მთავარეპისკოპოსის გარკვეულ ავტორიტეტზეც მიუთითებს. მობიდანის პროსპარსული ორიენტაცია აისახა წერილობით წყაროებშიც. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი ჯუანშერი პირდაპირ მიუთითებს, რომ არჩილის დროინდელი უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალი **„იყო ვინმე მოგუ უსჯულო და შემშლელი წესთა"**. ქართული ეკლესიის მეთაურის ასეთ დახასიათებაში ალბათ გარკვეული როლი ითამაშეს ხალხურმა გადმოცემებმაც. **„წვრილი ერის"** მიხედვით სპარსეთის ხელისუფლებასთან მჭიდრო კავშირი ხომ უფრო ზოროასტრიელ მოგვს შეეფერებოდა ვიდრე ქრისტიან ეპისკოპოსს. მობიდანის სიკვდილის შემდეგ სპარსეთის ხელისუფლებამ ქართლის უმაღლესი საეკლესიო იერარქის ადგილზე გარდაცვლილი მღვდელმთავრის საქმის „ღირსეული" განმგრძობი გლონოქორი განაჩინა და მას სომხეთის პროსპარსულად განწყობილ კათალიკოს შამუელის მსგავსად სასულიეროსთან ერთად საერო ხელისუფლის ფუნქციებიც მიანიჭა. ჩანს გლონოქორს დაევალა ჩვენი ქვეყნისთვის სპარსელთა სასარგებლოდ დაწესებული ხარკის აკრეფის მეთვალყურეობა, სამართალზე ზედამხედველობა და სხვა მისთანები. მოკლედ V საუკუნის 40-იან წლებში ხალხის გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად სირიულ-სპარსულმა ეკლესიამ მაინც მიაღწია ჰეგემონიას ქართლში. მაგრამ მისი ტრიუმფი დიდხანს არ გაგრძელებულა.

შაჰინ-შაჰმა იეზდიგერდ II (439-457 წწ.) მკვეთრად შეცვალა რელიგიური პოლიტიკა და თავისი მეფობის მერვე წლიდან (447 წ.) სასტიკ ანტიქრისტიანულ აქციებს მიმართა. მძვინვარე დესპოტმა ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის დექრისტიანიზაციისათვის განსაკუთრებით მკაცრ ზომებს მიმართა, რასაც მოჰყვა სომხეთ-ალბანეთის 450-451 წლების გმირული, მაგრამ უშედეგო ანტისპარსული აჯანყება. ასეთ პირობებში ხალხისათვის საძულველმა და დამპყრობლის ზურგშექცევით დასუსტებულმა სირიულ-სპარსულმა ეკლესიამ ქართლში ყველა პოზიცია საბოლოოდ დაკარგა.

ქართველის ცნობიერება ნელ-ნელა, დიდი ტანჯვით, მაგრამ საბოლოოდ და მტკიცედ დაუბრუნდა ქრისტიანობას, მაგრამ ალთქმულ მიზნამდე ჯერ კიდევ შორსაა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მტერი ყოველთვის ეცდება ჩაკლას ჩვენში ქრისტიანული მადლი, აგვაცილოს უფლის ჭეშმარიტ გზას. მობიდანები არა მარტო წარსულში იყვნენ, არამედ აწმყოშიც მოიპოვებიან აქა-იქ. ისინი სიტყვით ერის, მამულის, სარწმუნოების სადარაჯოზე დგანან, საქმით კი ქვეგამხედრობენ. ჩვენ ზურგი უნდა ვაქციოთ ფარისეველთ და გავყვეთ ღირსეულთ, ვისწავლოთ მათგან, რომელთაც ალთქმულ ტაძრისკენ მიმავალ გზას უნათებს თავად მაცხოვარი.

**გიორგი მამულია**

---

**(დასასრული)**

ამგვარად ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ურთიერთობა გასაბჭოების შემდეგ სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს: 1. 1921 წლიდან მოყოლებული ეკონომიკური კავშირების პერიოდი, როცა „გაერთიანდა", ფაქტიურად კი დაემორჩილა რსფსრ ორგანოებს. საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სამეურნეო, საგარეო ვაჭრობის, რკინიგზის და სხვა სფეროები; 2. 1922 წლის 12 მარტის ხელშეკრულებით შექმნილი ფედერაციული კავშირის ე. წ. კონფედერაციულ ურთიერთობათა პერიოდი, 3. 1922 წლის 10 დეკემბრიდან სსრკ-ს შექმნამდე (1922 წლის 30 დეკემბერი) პერიოდი, როცა იურიდიულად და ფაქტობრივადაც საქართველოს წაერთვა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება. ამიერკავკასიის ფედერაციის ეს ეტაპი ფაქტიურად უნიტარული სახელმწიფოს ნიშნებს ატარებს და შექმნის იურიდიული გაფორმებით კანონსაწინააღმდეგო მოვლენაა. აქედან გამომდინარე, უკანონოა საქართველოს მიმართ 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება სსრკ-ში ამიერკავკასიის ფედერაციის ერთიან სახელმწიფოდ შეყვანის თაობაზე, რადგანაც ქართველ ხალხს არ მიეცა საშუალება დამოუკიდებლად, თავისუფლების პირობებში არჩეული სუვერენული ორგანოებით გამოეხატა თავისი სახელმწიფოებრივი ნება.

საქართველოს ოკუპაციას მოჰყვა არა მარტო ქართველი ხალხის ნებასურვილის უგულებელყოფა, არამედ თვით ძალის შედეგად შექმნილი ხელისუფლების ნების იგნორირება და იურიდიული თვალსაზრისით ბათილი სამართლებრივი ფორმების თავზე მოხვევა.

**მარიამ ცაცანაშვილი,**

**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის თანამშრომელი.**

**გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ ეროვნული მადლიერების ინსტიტუტის ფონდში.**

# ვაცხადებ შიმშილობას!

ძვირფასო თანამემამულენო! საქართველოში ბევრს დაავიწყდა, რომ სოხუმში არსებობს ახალი ქართული უნივერსიტეტი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი. არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ფილიალს არა აქვს საკუთარი შენობა, სტუდენტებს არა აქვთ ნორმალური აუდიტორიები, სასწავლო ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა. პროფესორ-მასწავლებლებს არა აქვთ სამუშაო ოთახები. სოხუმში ვერ ნახავთ წარწერას: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი“, რადგან ქალაქში ვერ გამოინახა კედელი, რომელზეც შეიძლება გაკეთდეს ასეთი წარწერა. ქართულმა უმაღლესმა სასწავლებელმა, რომლის გასრესა მოინდომეს მისი გაჩენისთანავე, ვისი სტუდენტების სისხლითაც იყო შეღებილი პირველი საშუალო სკოლის საკლასო ოთახები, ვერ მოიპოვა არსებობის პირობები საკუთარ სამშობლოში. დაუფიქრდით, სხვა რომ არაფერი, რამდენად დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია ასეთი მდგომარეობა, რა მძიმე ასატანია ეს მორალურად. ფილიალმა ბევრჯერ ამოიღო ხმა, მისმა სტუდენტებმა მრავალჯერ გადაწყვიტეს მოეწყოთ საპროტესტო მიტინგები, დემონსტრაციები და გაფიცვები, მაგრამ მე დავუშალე, რადგანაც სოხუმში საგანგებო სამხედრო რეჟიმია. მეშინოდა, არაფერი შემთხვეოდათ, პროვოკაციის საბაბი არ მიეცათ ბნელი ძალებისთვის. მათ სჯეროდათ ჩემი, მენდობოდნენ, საგანგებო უფლებებიც მომცეს (ისეთი, როგორიც არა აქვს არც ერთ რექტორს), რომ ყველა საშუალებით დამეცვა ფილიალის ინტერესები. მაგრამ დღეს უნდა ვაღიარო, რომ ვერ ვამართლებ იმედებს, თუმცა, ვიხმარე ყველა საშუალება, გამოვიყენე ყველა არგუმენტი. ფილიალის გაუქმების მცდელობა კვლავ გრძელდება. დამრჩა მხოლოდ ბოლო არგუმენტი, ბოლო პროტესტი: 26 მარტიდან გამოვაცხადე შიმშილობა და ვიშიმშილებ უვადოდ, სანამ არ დამთავრდება ფილიალის შევიწროება და შეურაცხყოფა, სანამ ფილიალი არ მიიღებს შესაფერის შენობას და სტუდენტებს არ მიეცემათ სწავლის ნორმალური პირობები. ეს ჩემი კანონიერი უფლებაა და არ მინდა დამასწრონ ჩემმა სტუდენტებმა, რადგანაც მიმაჩნია: ყოველი რექტორისთვის სირცხვილია, როცა მისი სტუდენტები მიმართავენ პროტესტის ისეთ საშუალებებს, რომელიც თვითონ რექტორს არა აქვს გამოცდილი. მე ვთხოვ სტუდენტებს და თანამშრომლებს, დაიცვან სიმშვიდე, გამოიჩინონ თავშეკავება და ამით გამიწიონ თანადგომა.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

**ფელიქს ტყებუჩავა,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის რექტორი, პროფესორი.

**გაზეთი „მამული“, № 6.**

## საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ-6 გივი გუმბარიძეს

**ქართველი საზოგადოებრიობის საფუძვლიანი მოთხოვნით ქ. სოხუმში შეიქმნა ი. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ფილიალი.**

**დღიდან მისი შექმნისა, ფილიალი აწყდებოდა წინააღმდეგობებს და იქმნებოდა ბარიერები მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის, როგორც ავტონომიური, ისე რესპუბლიკური ოფიციალური ხელმძღვანელობის მხრიდან.**

**გაითვალისწინა რა არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარება მთელს საქართველოში, ფილიალის კოლექტივმა შესაძლებლად ჩათვალა წასულიყო გარკვეულ დათმობებზე. სწორედ ამას მოჰყვა საქართველოს მთავრობის ცნობილი დადგენილება. მაგრამ, სამწუხაროდ, ადგილობრივი და რესპუბლიკური მთავრობების გამიზნული მოქმედების შედეგად, ეს დადგენილება ქაღალდზე დარჩა. ამჟამად იმავე საფუძველზე ვითარება ისევ მწვავდება.**

**არანორმალურმა მდგომარეობამ, რომელიც შეიქმნა ფილიალის გარშემო, აიძულა მისი რექტორი პროფესორი ფელიქს ტყებუჩავა მიემართა პროტესტის განსაკუთრებული ფორმისათვის — ა. წ. 26 მარტს გამოეცხადებინა უვადო შიმშილობა.**

**თსუ სოხუმის ფილიალის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა კანონზომიერად მივიჩნევთ რექტორის ამ ნაბიჯს, მხარს ვუჭერთ მას და გამოვთქვამთ ღრმა შეშფოთებას შექმნილი ვითარების გამო.**

**ვუცხადებთ რა პროტესტს საქართველოს ახლანდელ მთავრობას, კატეგორიულად მოვითხოვთ მისგან დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს ჩვენი რექტორის სამართლიანი მოთხოვნა.**

**წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი კოლექტივი მიმართავს პროტესტის უკიდურეს ფორმებს და ყოველგვარი მოსალოდნელი შედეგებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებას.**

მიღებულია ერთხმად თსუ სოხუმის ფილიალის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მიტინგზე 1990 წლის 30 მარტს, 13 საათზე.

# გვჭირდება კი ავტონომია?

დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ საქართველოში არსებულ ავტონომიურ წარმონაქმნზე. მართალი გითხრათ, ადრე ამ საკითხს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ აჭარის ავტონომიამ დადებითი როლი შეასრულა ჩვენი კუთხის ცხოვრებაში. მაგრამ ამ ბოლო დროს ასე აღარ ვფიქრობ და აი რატომ:

გასული წლის 19 აპრილს მაღალმთიან აჭარაში დატრიალებულმა ტრაგედიამ შესძრა მთელი საქართველო. ზემო აჭარიდან ათასობით ოჯახის გადაყვანა და დაბინავება გახდა აუცილებელი. თავდაპირველად არა მჯეროდა, რომ საქართველო ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში გაართმევდა ამ საქმეს თავს. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ შეუძლებელი შეძლო და მაღალმთიანი აჭარის მკვიდრთ მიუჩინა ადგილსამყოფელი. ჩვენი ხალხის სიკეთე საკუთარ თავზე გამოვცადეთ, უკვე მალე ჩვენი სოფლელებიც ჩავსახლდებით საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდასა და ხაშმში. გასაოცარია ის ზრუნვა, რასაც ჩვენი მისამართით იჩენენ საგარეჯოს რაიონის როგორც ხელმძღვანელები, ისე დასახელებული სოფლების თავკაცები და ადგილობრივი მოსახლეობა. თამამად ვიტყვი, რომ ასეთი სითბო ჩვენს კუთხეშიც კი არ გვრგებია.

აღნიშნულიდან ცხადი უნდა იყოს, რომ ქართველისათვის საქართველოს ყველა მხარე მშობლიურია. ამის ფონზე უკვე აშკარად ჩანს თუ რაოდენ ზედმეტია ავტონომიური წარმონაქმნები. რა გამოდის? ჩვენ მოვდივართ აჭარიდან, ვსახლდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, სადაც თავს ვგრძნობთ, როგორც საკუთარ ოჯახებში. მაგრამ საკითხი სხვანაირად დგება, როცა ჩვენ კუთხეში მოგვიწევს ჩამოსვლა, მაშინ კარზე უნდა მივუკაკუნოთ (რადგან აჭარა ავტონომიური რესპუბლიკაა), რათა შეგვიშვან როგორც გერიშვილებად ქცეულნი. ნუ იფიქრებთ, რომ რაღაც ახირებულობის გამო ვლაპარაკობ. ჩემს საფიქრალს აქვს საფუძველი: აჭარის ავტონომიას გამართლება მაშინ ექნებოდა, თუკი კრიტიკულ სიტუაციაში ის თავისი ხალხის პატრონობას შეძლებდა. სინამდვილეში, კი აღმოჩნდა, რომ კრიტიკულ სიტუაციაში სწორედ ეს არ შეძლებია ავტონომიას.

ზემოაღნიშნული ცარიელ სიტყვებად რომ არ დარჩეს, კონკრეტულ ფაქტებს მივმართოთ: 19 აპრილის ტრაგედიიდან ცოტა ხნის შემდეგ სოფელ წაბლანის მოსახლეობა მოსალოდნელი საფრთხის გამო აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობამ ბათუმში გადაიყვანა და ჩაასახლა სანატორიუმებსა და ტურბაზებში. მას შემდეგ გავიდა ათი თვე და ეს ხალხი კვლავ სანატორიუმებსა და ტურბაზებშია. მართალია, მათთვის ბოლნისის რაიონში შენდება საცხოვრებელი სახლები და ბევრიც გადავიდა უკვე იქ, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ყველაზე დაზარალებულნი ყველაზე გვიან იღებენ ჰერს. ამის მიზეზი კი ისევ და ისევ ავტონომიაა. ეჭვი არაა, რომ ეს ხალხი ავტონომიის იმედზე რომ არ ყოფილიყო, დიდი ხანია საკუთარ ჰერსქვეშ იქნებოდნენ.

სტიქიური უბედურების დროს განსაკუთრებით დაზარალდა 14 ოჯახი, რომელთა საკითხი დღესაც გადასაწყვეტია. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ზინა შაინიძე, რომელსაც მეწყერმა გამოსტაცა მეუღლე, სტუდენტი შვილი, ფეხმძიმე რძალი და მოსწავლე ვაჟი, ახლაც უბინაოა. მას სტუდენტი ქალიშვილი ჰყავს (რისთვისაც ის დიდად ემადლიერება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პირადად ბატონ ნოდარ ამაღლობელს. მათ გულთან მიუტანიათ ქალიშვილის მძიმე დეპრესიული მდგომარეობა და ყველა პირობა შეუქმნიათ მისთვის მისაღებ გამოცდებზე და უკონკურსოდაც ჩაურიცხავთ). ზ. შაინიძე ჩაუწერლობის გამო ვერსად ვერ მუშაობს და მორიგეობით ათენებს ღამეს ნათესავებთან.

მოკლედ მოგახსენებთ ჩემს საბოლოო აზრს: თუკი ავტონომიას არა აქვს შესაძლებლობა კრიტიკულ დროს დააკმაყოფილოს თავისი ხალხი, მაშინ რა საჭიროა ავტონომია? თუკი გაუქმდება ის, მაშინ გაქრება ჩვენი მისამართით ის ბუნდოვანი წარმოდგენები, რასაც ავტონომიის არსებობა იწვევს. თუ ეს მოხდება, მაშინ მშობლიურ კუთხეში ჩამოსულებს კარის „მიკაკუნებაც“ აღარ დაგვჭირდება, როგორც უცხო მხარეში ჩამოსულებს. საქართველო პირადად მე ერთ... წარმომიდგენია და ავტონომიები, მით უმეტეს აჭარისა, სრულიად ზედმეტი და უსაფუძვლოა. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არაა და ვფიქრობ ამას ჩვენი კუთხის აბსოლუტური უმრავლესობა დაუჭერს მხარს.

**დავით სურმანიძე,**
**საგარეჯოს რაიონი, სოფელი ნინოწმინდა.**

# ჩვენი სადისკუსიო კლუბი

# „მოკლე კურსის“ მეოთხედ დაბადება

**ჯარგი** კონსერვატორი რომ იყო, ადვილი არ არისო, — ძალზე გოიეაიახვილურად არის ნათქვამი! თუმცა ამ სენტენციამ ჩვენს საზოგადოებას არც თუ მაინცდამაინც კარგი სამსახური გაუწია. ყველა კონსერვატორი (კარგიც, ცუდიც, ხიჯიერიც, უხიჯოც, დაძყოლიც, ჯიუტიც) სწორედ ამ გამონათქვამს იყო ამოფარებული და ღმერთმა უწყის, რა საშუალებით არ უშლიდნენ ხელს ძველის ხგრევას.

30-იანი წლების სტუდენტობას (და მთელ საზოგადოებასაც) კარგად ახსოვს მარქსისტული ისტორიული აზროვნების ეტალონად აღიარებული ნაშრომის — „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი“ (1938 წ.) — გამოსვლა. ისიც კარგად ახსოვთ, რა გულმოდგინებით აზუთხვინებდნენ ლექტორები სტუდენტებს წიგნში მოცემულ ყოველ დებულებას. ლექცია ფაქტიურად „მოკლე კურსის“ მოკლე შინაარსის გადმოცემად იქცეოდა. ათეულობით მონოგრაფია, საგაზეთო და საჟურნალო სტატია, საჯარო ლექცია ჯერ არნახული „იდეური ერთიანობით“ ხოტბას ასხამდა ნაშრომს, რომელიც სიბაძვილეში ისტორიის გაუგონარი მასშტაბებით ფალსიფიკაციას წარმოადგენდა. რაღა თქმა უნდა, ამის შესახებ მაშინ ვერავინ დაწერდა. „მოკლე კურსის“ ტრიუმფი გაგრძელდა სკკპ XX ყრილობამდე, მთელი 18 წელი!

ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში მოსულმა ნიკიტა ხრუშჩოვმა, პათოლოგიური ზიზღი რომ ჰქონდა იოსებ სტალინისა (და არა სტალინიზმისა!) სკკპ ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს შექმნა გადაწყვიტა, შეიქმნა კიდეც ასეთი სახელმძღვანელო. ვიაიც მოთაინება ჰყოფნია და გულდასმით შეუდარებია ერთმანეთისათვის „მოკლე კურსი“ და ხრუშჩოვისეული სკკპ ისტორიის სახელმძღვანელო, დამეთანხმება იმაში, რომ „მოკლე კურსის“ თორმეტივე თავი თითქმის უცვლელად გადმოტანილი ახალ სახელმძღვანელოში, იმ განსხვავებით, რომ სტალინის სახელია ალაგ-ალაგ ამოღებული, არაფერია ნათქვამი „ხალხთა ბელადის“ დამსახურების განსაკუთრებულობაზე სოციალიზმის მშენებლობაში. რაც შეეხება პერიოდს 1938 წლიდან 50-იან წლამდე, ავტორთა კოლექტივს სახელმძღვანელოს ეს ნაწილიც „მოკლე კურსის“ პრინციპების მიხედვით აუგია: ძალაში დარჩა ისტორიის გაყალბების სტალინისეული მეთოდები. მართალია, სკკპ ისტორიის ახალი სახელმძღვანელო „მოკლე კურსის“ მსგავსად ტრიუმფით არ მიუღია საზოგადოებას, მაგრამ ვერც იმას თქმა გაბედა ვინმემ, რომ 1938 წელს დაწყებული სკკპ ისტორიის გლობალური მასშტაბებით გაყალბება განუხრელად გრძელდებოდა 50-იან წლებშიც.

70-იან წლებში და 80-იანი წლების დამდეგს რამდენჯერმე გამოიცა სკკპ ისტორიის ახალი სახელმძღვანელო, უკვე შევსებულ-გადამუშავებული ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ახალი ლიდერის — ლეონიდ ბრეჟნევის ნების მიხედვით. არც ამ გამოცემებას ავტორთა კოლექტივს შეუწუხებია დიდად თავი. მათაც თითქმის უცვლელად აიღეს წინამორბედთა მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს სქემა, ფაქტობრივი მასალა და დასკვნები, მცირე კოსმეტიკური ცვლილებები მოახდინეს, დაუმატეს რამდენიმე ახალი თავი. საზოგადოებას დიდი ზარზეიმით ემცნო ახალი სახელმძღვანელოს გამოსვლა. ეს იყო „მოკლე კურსის“ მესამედ დაბადება!

წერილის დასაწყისში კონსერვატორები შემთხვევით არ გავიხსენებია. 1987 წელს (გარდაქმნის მესამე წელს!) სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გამოსცა „პროგრამები საზოგადოებრივ მეცნიერებებში“. (უმაღლესი სასწავლებლებისათვის). კრებულში სხვებთან ერთად სკკპ ისტორიის კურსის პროგრამაც არის დაბეჭდილი. მართალია, გარდაქმნის მესამე წელი მიმდინარეობდა, მაგრამ კონსერვატორებმა კონსერვატორებად არჩიეს დარჩენა, აიღეს და თითქმის უცვლელად გამოწერეს სკკპ ისტორიის კურსის პროგრამა, რომლითაც უძრაობის წლებში ვასწავლიდით, და რომელიც სტალინურ-ხრუშჩოვულ-ბრეჟნევული ეპოქის ნაყოფი იყო. იმხანად გვარწმუნებდნენ, შესაბამისი სახელმძღვანელოც მალე იქნებაო. მაშინ ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ ახალი პროგრამაც და მომავალი სახელმძღვანელოც საჭირო აღარ გახდებოდა. ვერ იფიქრებდა-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ იმავე 1987 წელს დიდი ოპერატიულობით იქნა შედგენილი და გამოცემული „სკკპ ისტორიის კურსის სემინარული მეცადინეობის სანიმუშო გეგმები“, რომელიც განკუთვნილი იყო საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული გეგმები „სანიმუშოა“, მხოლოდ იმ გაგებით, რომ მასში დიდი ერთობაა. პროგრამის შემდგენლებს შეუმჩნეველი „დარჩენიათ“ის ცვლილებები, რომელიც მსოფლიოსა და ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა 80-იანი წლების შუა ხანებიდან და რომლის ანალიზსა და განზოგადებას დაჟინებით ითხოვდა ჩვენი სტუდენტობა.

1988-1989 წლები სკკპ ისტორიის არსებული პროგრამითა და სახელმძღვანელოებით სწავლების წინააღმდეგ სტუდენტთა აქტიური პროტესტის პერიოდი იყო, როგორც ცენტრში, ასევე პერიფერიებში. თვით კონსერვატორებმაც დაინახეს, რომ ძველი მეთოდებით მოქმედება აღარ შეიძლებოდა. 1989-1990 სასწავლო წელს ქვეყნის უმაღლესმა სასწავლებლებმა მიიღეს ახალი საგნის ახალი პროგრამა. საგანს, რომელმაც სკკპ ისტორია შეცვალა, ეწოდებოდა „XX საუკუნის სოციალურ-პოლიტიკური ისტორია“. პროგრამის ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ იგი მეცნიერულად დაუსაბუთებელი და მეთოდურად გაუმართავია. სტუდენტობის შეფასება ასეთი იყო: შეიცვალა საგნის სახელწოდება, შინაარსი კი იგივე დარჩა. სტუდენტობამ კვლავ გააგრძელა აქტიური ბოიკოტი, რაც, ჩემი აზრით, სავსებით გამართლებული იყო. სტუდენტობა ითხოვდა ახალს, შეულამაზებელ, გაუყალბებელ ისტორიას, ჩვენ კი ვასწავლიდით ძველს, შელამაზებულსა და გაყალბებულს.

სტუდენტთა დაწოლას „ზემოთ“ იმით უპასუხეს, რომ 1990 წლის იანვარში მივიღეთ ახალი საგნის ახალი პროგრამის პროექტი. პროგრამა ასეა დასათაურებული: „XX საუკუნის პოლიტიკური ისტორიის“ ტიპიური პროგრამა (უმაღლესი სასწავლებლებისათვის).“ ცოტა მოგვიანებით გვამცნეს, რომ ახალი საგნისა და პროგრამის სახელწოდება ასე დაგვეზუსტებინა: „პოლიტიკური ისტორია“. ჩვენც ასე ვუწოდოთ.

„პოლიტიკური ისტორიის“ კურსის პროგრამა ჯერჯერობით პროექტია. ალბათ, შესწორდება. ესეც რომ არ იყოს, მისი კრიტიკული განხილვა ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ორი მიზეზის გამო. პირველი, ჩვენი სტუდენტობა არავითარ ინტერესებს არ იჩენს ახალი დისციპლინისადმი, ე. ი. პროგრამამ ვერ გაამართლა. მეორე, პროგრამის პროექტი რომ დამტკიცდება, ალბათ შესაბამისი სახელმძღვანელოს შექმნაზეც იზრუნებენ. თუ პროგრამის პროექტი ამ სახით დამტკიცდა და სახელმძღვანელო პროგრამის მიხედვით შედგა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „მოკლე კურსის“ მეოთხედ დაბადება არ აგვცდება! „პოლიტიკური ისტორიის“ პროგრამის პროექტის მთავარი ნაკლი, ჩვენი აზრით, შემდეგში მდგომარეობს:

1.) არ შეცვლილა შეხედულება პროგრამის შედგენის ზოგად პრინციპებზე. ამ პრინციპებით დგებოდა პროგრამები არა მარტო უძრაობის წლებში, არამედ 20-30-იან წლებშიც. პროგრამის შედგენის ახალი პრინციპების შემუშავება ადვილი საქმე არ არის, მაგრამ ამით ძველის დაცვის გამართლება არ შეიძლება.

2.) პროგრამის პროექტი წარმოადგენს ცდას ერთმანეთს დაუკავშიროს სკკპ ისტორია, რუსეთის ისტორია (სსრკ ისტორია), მსოფლიო ისტორია, მეცნიერული კომუნიზმი. თუ ეს იმითაა გამართლებული, რომ საგანი უფრო საინტერესო გახდეს, პროგრამის შემდგენლებს დიდი შეცდომა მოსვლიათ. მექანიკური გაერთიანება ძალზე უინტერესო ხდის ლექციას.

3.) მთავარი ძარღვი პროგრამის პროექტში მაინც სკკპ ისტორიაა, თანაც მისი „მოკლე კურსისეული“ გააზრებით, ე. ი. პროგრამის ძარღვია გაყალბებული სკკპ ისტორია.

4.) „პოლიტიკური ისტორიის“ კურსის პროგრამის მიხედვით წაკითხული ლექციებიდან სტუდენტი თითქმის ვერაფერს გაიგებს რუსეთის პოლიტიკური პარტიების შესახებ, მათ როლზე სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. ამ პრობლემის ირგვლივ გრძელდება „მოკლე კურსის“ მიერ დაკანონებული დუმილი. თუ დუმილი ირღვევა, მხოლოდ იმიტომ, რომ აჩვენონ, რუსეთის პოლიტიკური პარტიების „კონტრრევოლუციური და ანტიხალხური ხასიათი“, რაც ისევ „მოკლე კურსის“ იდეური სალაროდან არის ნასესხები.

5.) პროგრამის შემდგენლებს არ უცდიათ ახლებურად გაეაზრებინათ 20-30-იან წლებში შინაპარტიული ბრძოლის არსი, მსჯელობის საგნად ექციათ ათწლეულების მანძილზე ტაბუდადებული საკითხები. აუცილებელი იყო ლ. ტროცკის, ლ. კამენევის, გ. ზინოვიევის, ნ. ბუხარინის შეხედულებების მიტანა სტუდენტობამდე. ასეთი საკითხების მიფუჩეჩება ძალზე უარყოფით რეაქციას იწვევს.

6.) პროგრამის პროექტში ახლებურადაა გააზრებული 60-80-იანი პერიოდი, რაც უდაოდ მისასალმებელია, მაგრამ „მოკლე კურსის“ იდეური გავლენითაა შედგენილი დიდი მონაკვეთი — XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან 1917 წლამდე. არც 1917-1941 წლების პერიოდი გამოირჩევა დიდი სიახლით. აქაც იგრძნობა „მოკლე კურსის“ იდეური გავლენა, თუმცა ზოგიერთი საკითხი (მაგალითად, 30-იანი წლების რეპრესიები, სოციალიზმის მშენებლობის შედეგები და სხვ.), მაინც ახლებურად არის გააზრებული.

ბოლოს ისმის ერთი მეტად მნიშვნელოვანი კითხვა: ჩვენ ხელოვნურად შევქმენით ახალი სასწავლო დისციპლინა და ამაზე ვჩერდებით თუ ისტორიული მეცნიერების ახალ დონეს ვუყრით საფუძველს? თუ მხოლოდ პირველ მოვლენასთან გვაქვს საქმე, მდგომარეობის გამოსწორება კიდევ შეიძლება, თუ ორივესთან ერთად, მაშინ საკმაოდ სერიოზული ბრძოლა მოგვიწევს 30-იანი წლების რეციდივებთან.

**ვახტანგ გურული,**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ისტორიის კათედრის დოცენტი.**

# არასასურველი კანდიდატურა — პენსიაზე

29 მარტს მოსკოვში თანამდებობიდან გაათავისუფლეს საქართველოს დოსააფის თავმჯდომარის მოადგილე პოლკოვნიკი **ვლადიმერ გუდაძე.**

რა მოხდა, რატომ გავამახვილეთ ამაზე ყურადღება?

განა ცოტა მოუხსნიათ და ცოტა დაუსჯიათ?

საქმე იმაშია, რომ სულ მალე, უფრო ზუსტად ხვალ, 4 აპრილს, თბილისში გაიმართება საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც უნდა აირჩიონ (თუ დანიშნონ!?) ახალი თავმჯდომარე. ხოლო ვ. გუდაძე, კოლექტივის მიერ წამოყენებული კანდიდატურა, როგორც ჩანს, არცთუ სასურველი იყო ცენტრისთვის, ვინაიდან მანამდე, რამდენიმე დღით ადრე, მოსკოვიდან თბილისში სპეციალურად მოვლინებულმა 18-კაციანმა კომისიამ გენერალ ვ. ტ. კანასტრატოვის თავკაცობით, სერიოზული „ხაკლოვანებები“ აღმოუჩინა კანდიდატურას: არის რუსთაველის საზოგადოების წევრი, მხარს უჭერს ქართული ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნას და იმას, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდობამ ადგილზე მოიხადოს სამხედრო სავალდებულო სამსახური. ერთი სიტყვით, დგას ეროვნულ, პატრიოტულ პოზიციებზე, ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, ეწინააღმდეგება „ცენტრის“ ინტერესებს. ასე რომ, „დანაშაული“ სახეზეა. მას, ცხადია, უნდა მოჰყოლოდა და კიდეც მოჰყვა სათანადო სასჯელიც — ვ. გუდაძე გაათავისუფლეს თანამდებობიდან. უკაცრავად — ჯერ. ურჩიეს, მოეხსნა თავისი კანდიდატურა და როცა უარი მიიღეს, პენსიაზე გაუშვეს. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე აღმოაჩინეს, რომ 48 წლის კაცი უკვე საკმაოდ დაიღალა და მისთვის ახლა აუცილებელია დამსახურებული დასვენება. თანაც „მამაშვილურად“ დაარიგეს, სასწრაფოდ დაწვეს ჰოსპიტალში — „დერჟავას“ ინტერესებიდან გამომდინარე მიღებულ ამ პრაქტიკულ გადაწყვეტილებას ხომ სჭირდება თეორიულ-სამედიცინო დასაბუთება, ამასთან, არცთუ ორაზროვნად მიანიშნეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება საერთოდ ვერ მიიღოს პენსია.

კი მაგრამ, იკითხავთ, რა გახდა ასეთი ეს თანამდებობა, რომ ასე შეწუხდნენ მაღალი სამხედრო ჩინები იქ, ცენტრში?

როგორც ჩანს, ვიღაც-ვიღაცეებს არ მოსწონთ, რომ დადგა საკითხი საკავშიროდან საქართველოს დოსააფის გამოყოფისა, რომ მის მიერ ყოველწლიურად მომზადებული 32 ათასი სხვადასხვა სპეციალისტი შესაძლოა ეროვნული ორიენტაციის გამოდგეს, რომ ამ დაწესებულებას შეუძლია სერიოზული როლი ითამაშოს სამხედრო-თავდაცვით საქმეში, ქართული ეროვნული საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბებაში და სხვა. ასე რომ, დაინტერესება სრულიად გასაგებია.

იმიტომ, რომ არ მოხდეს ცენტრისთვის არასასურველი რაიმე რეციდივი, ხვალ, საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომელზეც უნდა გადაწყდეს, ვინ უხელმძღვანელებს ამ მნიშვნელოვან ორგანიზაციას, ცენტრიდან სპეციალურად მოვლენილი მეთვალყურე, საკავშირო დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გენერალი დ. ნ. კუზნეცოვიც დაესწრება.

პიროვნულად ჩვენ არავის წინააღმდეგი არა ვართ. ჩვენი მოთხოვნაა, რომ არჩევნები საჯაროდ და დემოკრატიულად ჩატარდეს. ყველა კანდიდატურას — გენერალ ნადიბაიძეს (ცნობისთვის, მისი კანდიდატურა ჩვენთვის კარგად ცნობილმა გენერალმა როდიონოვმა წამოაყენა), პოლკოვნიკ სულაბერიძესა და პოლკოვნიკ ვლადიმერ გუდაძეს, რომელსაც დოსააფის მთელი კოლექტივი უჭერს მხარს (სათანადო მოთხოვნას 160 კაცი აწერს ხელს), თანაბარი პირობები უნდა ჰქონდეთ.

და რაც მთავარია, დოსააფის კოლექტივს უნდა მიეცეს უფლება, გამოხატოს თავისი ნება.

**მერაბ დავითაძე**



ი. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის დოსააფის კომიტეტთან არსებული სპორტულ-ტექნიკური კლუბი

1. ზღვაბიშვილი ნიკოლოზ იაგორის ძე –
2. ქორიაშვილი გია ალექსანდრეს ძე –
3. ოზარაშვილი ██████ იური ნუგზარის ძე –
4. მარქიკაშვილი გურამ ალექსანდრეს ძე –
5. ცაიერიაძე ალექსანდრე ბორისის ძე –
6. გულიევი ოთარ გიორგის ძე –
7. გამყრელიძე ვახტანგ სამსონის ძე –
8. ბერაძე ბადრი ბარნაბის ძე –
9. ივანიანი ვიქტორ გრიგოლის ძე –
10. ხუციშვილი ნიკო ვახტანგის ძე –

**სათანადო მოთხოვნას 160 კაცი აწერს ხელს.**

# „ამაღლებული ხალხი თვით ამაღლდება ცათამდე“

სარანგი

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება



რამდენიმე თვეა, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში კიდევ ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია ჩაერთო. ეს გახლავთ — სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება.

საზოგადოების მიზანია — მერაბ კოსტავას იდეების, მისი პოლიტიკური პლატფორმის, მისი ზნეობრივი კრედოს დაცვა. საზოგადოების პროგრამის და წესდების დებულებები უშუალოდ გამოხატავენ ბატონი მერაბის ზნეობრივ, სამართლებრივ და პოლიტიკურ შეხედულებებს.

1 აპრილს საზოგადოებამ გამოსცა საკუთარი გაზეთი „სარანგი“. „სარანგი“ „ესე არს რაოდენთა კაცთა უფროსი, რათა მათ მიერ ბოროტნი კაცნი შეშინდნენ“. (სულხან-საბა). ამდენად, გაზეთის სათაური კიდევ ერთხელ ცხადყოფს, იმ ტრადიციებს, რაც დამახასიათებელი იყო და არის მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას მიერ დაარსებული გაზეთებისა და ჟურნალებისათვის...

საქართველო

**დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „საქართველოზე“.**
**ხელმოწერის ფასია:**
**1 თვით — 1 მან. 73 კაპ.**
**3 თვით — 5 მან. 19 კაპ.**
**6 თვით — 10 მან. 38 კაპ.**
**12 თვით — 20 მან. 76 კაპ.**

**გაცნობებთ აგრეთვე, რომ მაისიდან გაზეთი „საქართველო“ ყოველკვირეული გახდება და ერთი ნომრის ფასი 40 კაპიკი იქნება. ვისაც გსურთ, მაისის თვიდან ხელმოწერით მიიღოთ გაზეთი, იჩქარეთ, ჯერ-ჯერობით ხელმოწერები შეუზღუდავად მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებაში. გაზეთ „საქართველოს“ ინდექსია 66447.**

# წერილები „ახალგაზრდა ივერიელს“

**თუმცა** ადრევე ვიცოდი, რომ თქვენს გაზეთს სახელი უნდა შეცვლოდა, როცა დავხედე „ახალგაზრდა ივერიელის“ პირველ ნომერს, გულმა, მაინც ბაგაბუგი დამიწყო...

საქართველოში მცხოვრები ოთხასი ათასამდე ინვალიდის სახელით მოგესალმებით და გისურვებთ:

მუდამ გეხარებინოთ თქვენი მკითხველის გული!

პირველებს მოგელოცოთ ჩვენი ერისთვის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა!

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

**ზაზა სიხარულიძე,**
**ინვალიდთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული ფორუმის წევრი.**

●

ჩემი მხრივ დიდი უგულისყურობაც იქნებოდა, რომ არ მიმელოცა „ახალგაზრდა ივერიელისათვის“, რომელმაც „ნათელ იღო ერისათვის“, ახლად მონათლა და სახელითაც ჩადგა მისი მომავლინებელი ერის სამსახურში... უმადურობა იქნებოდა, რადგან ამ გაზეთში დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსი, როცა 14 წლისა ვიყავი და შემდეგაც მრავალი დაუვიწყარი განცდა მახსოვს მის ფურცლებზე.

ახალგაზრდობას სძაგს ყოველგვარი სიყალბე. უცნაურიც იყო ჭეშმარიტების ქადაგება იმ იდეის სახელით, რომელმაც ვერ გაამართლა უტოპისტების ოცნება.

არ მეგულება საქართველოში კაცი, რომ „ახალგაზრდა ივერიელის“ ახლად დაბადება არ გახარებოდა. წიგნის, გაზეთის სათაური არ უნდა უპირისპირდებოდეს მის შინაარსს, და ზოგიერთის საპირისპირო აზრი შეიძლება მხოლოდ ფორმალურ დონეზე განვიხილოთ. იზარდე და იმრავლე, ჭაბუკო ივერიელო!

ახალგაზრდა ივერიელის ხელთაა საქართველოს აწმყოც და მომავალიც. აწმყოში მეტი სიდინჯე, სიბრძნე და წინდახედულობაა საჭირო, რომ მართლაც ერთიმეორეზე გადაბმული მთამსვლელებივით არ მოვწყდეთ ისტორიის ცივ ყინულოვან კედელს; სამომავლოდ კი გაზეთს მრავალი პრობლემა აქვს გადასაჭრელი.

ყოველი ნორმალური ერი თავის მშობლიურ ისტორიულ კუთხეს უბრუნდება, როგორც „ბიბლიის“ შემქმნელმა ერმა მიაშურა. მრავალი შემოხიზნული და ძმურად მიღებული უცხოტომელიც ბრუნდება თავის ძირძველ მიწა-წყალზე, სახლები და კარ-მიდამო რჩება, მას შესყიდვა უნდა, რომ დროზე დავასახლოთ სტიქიებით დაზარალებული სვანები, აჭარლები, რაჭველები, — ყველა, ვისაც უჭირს, ადგილი აღარა აქვს ფეხის მოსაკიდებელი. ამ საქმეში დიდია პრესის როლიც. უნდა დაირაზმოს ერი, განსაკუთრებით საქველმოქმედო საზოგადოებანი, რომ გარკვეული თანხები გაიღონ ამ უპირველესი საშვილიშვილო საქმის საჭიროებისათვის. მეც გადამირიცხავს და მზად ვარ მეტი გადავრიცხო ჰონორარიდან ამ ეროვნულ ფონდში და ისევ „ახალგაზრდა ივერიელის“ ტრიბუნიდან ვთხოვ ყველას, ამ სახითაც იზრუნონ ერისათვის.

ვულოცავ, და მაცხოვარი იყოს ჩვენთან.

**აკაკი ბელოვანი.**

●

არ ვიცი საიდან დავიწყო თქვენთან საუბარი. ან გამიგებთ თუ არა, როგორც უცხო მიწა-წყალზე გადარგულსა და აღზრდილს? რა ვქნა თუ მეც ბედმა სამშობლოს მომწყვიტა და გულზე მოურჩენელი წყლული დამიტოვა. სანამ გული ძგერს, საქართველოს რა დამავიწყებს?!

12 წელია ვცხოვრობთ დაღესტნის ერთ-ერთ პატარა სოფელში. ჩემი მეუღლეც ქართველია. მყავს ორი შვილი: ზურიკო და გურამი. ჩემი გულისტკივილი ჩემს ზურიკოსაც გადაედო. იგი 12 წლისაა. ერთხელ დედის გამოგზავნილი ლობიო გავარჩიე და ვუთხარი: ზურა, აი, შვილო, მიწები აქვს შეყოლილი ლობიოს და გადაყარე-მეთქი. მან მოაგროვა მიწა, გაეშურა გადასაყრელად და... ოი, სასწაულო! უკან მოტრიალებული ბავშვის თვალებში ცრემლი აკიაფებულიყო და შემომცქეროდა: „დედა, საქართველოს მიწა აქ როგორ გადავყაროო...“ ასე გვიდევს მას შემდეგ საქართველოს მიწა ტელევიზორზე, როგორც თილისმანი ჩემი შვილისა. ვგრძნობ, რომ ჩემი შვილიც ისე იტანჯება, როგორც მე.

არ გეგონოთ, რომ ვპირფერობდე, ოღონდ საქართველოში ჩამასახლეთ-მეთქი. არა, მე ბევრჯერ მიფიქრია, რომ თუ თხოვნით მივმართავდი ჩემს ქართველობას, არასოდეს დამტოვებენ გასაჭირში, მაგრამ ქართული სიამაყე ნებას არ მაძლევდა გადამედგა ასეთი ნაბიჯი. ახლა კი... ჩვენ საქართველოს უნდა გამოვადგეთ, საქართველო — ჩვენ!

ქართველებო! დაიბრუნეთ თქვენი შვილები მშობლიურ მიწაზე! მოუგროვეთ საქართველოს ასეთი პატარა ზურიკოები და გურამები, რომლებიც უმეცარ ქარს ენძელებივით მიმოუფანტია უცხო მიწა-წყალზე. ნუ გავაქრობთ მათი პირველი სიყვარულის გრძნობას სამშობლოსადმი, რომელიც ერთხელ იღვიძებს მთელს სიცოცხლეში.

ქართველი ახალგაზრდობის საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლა ნაწილობრივ რაიონის ხელმძღვანელთა ბრალიც არის. მამაჩემი სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდია. ოჯახში ვიზრდებოდით 5 და-ძმა, მამა ავადმყოფობდა მუდმივად და არ შეეძლო მუშაობა. პენსიაც მაშინ მცირედი იყო, გვიჭირდა... დედის მუყაითობა და მომთმენი ხასიათი ყველაფერს გვატანინებდა. ჩვენი საცხოვრებელი ერთი ოთახი იყო, სადაც ჩემი ობოლი ბიძაშვილი და ბებიაჩემიც იმყოფებოდნენ. ცხრა ადამიანი და ერთი ოთახი! კუთხეში ჩვენი სახლის კედელი გარღვეული იყო. ამ კუთხეში გვიდგა ძველი ტახტი, სადაც მე და დედაჩემს გვეძინა. დედაჩემს თავი იმ კუთხეში ედო, სადაც ქვები ოდნავი მიწისძვრის დროსაც კი ჩამოცვივდებოდა. აქვე ახლოს მარმარილოს ხშირად აფეთქებდნენ.., მე ბევრჯერ (იქნებ ჩემი მცირეწლოვანი და-ძმებიც?) თვალცრემლიანი შევყურებდი იმ ქვას, რომელიც მე ბავშურ, უდარდელ ძილს მართმევდა. ასე ვიტანჯებოდით, სანამ ძმები არ წამოიზარდნენ. არ მახსოვს, რომ როდისმე, როგორც სამამულო ომის ინვალიდს, რაიონის ხელმძღვანელობა მოსულიყო და დახმარება გაეწიათ. აღარ მინდა გახსენება, ბევრი სხვაც...

მე მახარებს საქართველოს გამოღვიძება.

არ ვნანობ ჩემს აღსარებას და თუნდაც აქ მოვკვდე, მე და ჩემი ქმარ-შვილნი ქართველები ვართ და ჩვენი სამშობლო საქართველოა!...

**მაყვალა ჩოლოგაური,**
**დაღესტნის ასსრ, ტარუმოვსკის რაიონი, სოფელი ბაკრესი.**

მივესალმები თქვენი და ჩვენი გაზეთის ახალ ნათლობას! გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, ჯანის სიმრთელეს, მხნეობას, ბოლო ხანებში დანერგილი დადებითი ტენდენციების გაღრმავებას!

ბევრს შეიძლება არც მოსწონს თქვენი პოზიციები.

გულს ნუ გაიტეხთ! დიდი ილია მინდა გაიხსენოთ: „ჩვენ გულს გაგვიგმირავს ხოლმე ცხოველი სიტყვა, ჩვენის ძმისვე სიკეთე, ჩვენი ძმისვე ჩვენთვის თავგამოდება. პირველი ქვა, რომელიც თავგამოდებულს მოხვდება ხოლმე, ქართველისგანვე არის გამოტყორცნილი. წადი აქა და ძლიერი მუხლი ნუ მოგეჭრება. რათა ვართ ესე? იმიტომ, რომ ჩვენ აზრსაც, გრძნობასაც გადავეჩვიეთ, მერე ასე გადავეჩვიეთ, რომ ცოცხალი აზრი, პატიოსნური გრძნობა, უანგარო გულმხურვალება, თავგამოდებული ხალისი რომ ვნახოთ, ვერც კი ვიცნობთ. ეს კიდევ არაფერი, რომ ვერ ვიცნობთ: ავიღებთ და იმასაც ლაფში გავსვრით, — იმ მიზეზით, რა მიზეზითაც დიდხანს ძნელს საპყრობილეში დამწყვდეული კაცი, როცა მზეზედ გამოვა, თვალებზედ ხელს იფარებს, რადგანაც სინათლეს ისე გადაჩვეულა, რომ სინათლე თვალებსა სტკენს, და ამის გამო რაც ნათელია, ბრწყინვალე, იმას თვალების აფარებით აბნელებს“.

**ულრმესი პატივისცემით**
**გურამ სალარაძე,**
**მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში**

# ურთიერთობა მთავარი ფასეულობაა

**22 მარტს თბილისის კინოს სახლში შედგა რეჟისორ გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილის მხატვრულ-დოკუმენტალური ტელეფილმის მეორე პრემიერა. ფილმი „ვეძებთ მარჯორისა და ოლივერს" ქართველი და ინგლისელი კინემატოგრაფისტების პირველი ერთობლივი ნამუშევარია. მისი პირველი პრემიერა შედგა ლონდონში, 4 თებერვალს ბრიტანული ტელევიზიის მე-4 არხით. 23 მარტს ფილმი საქართველოს ტელევიზიითაც გადაიცა.**

„...ვუყურებდი ფილმს და არ მასვენებდა აზრი — ნუთუ არაფერი იქნება ნათქვამი 9 აპრილის შესახებ... და აი, ეს თემაც გამოჩნდა. აჟღერდა ორგანულად, ისე უბრალოდ და ბუნებრივად, როგორც, მაგალითად, მე მოგიყვებოდით ჩვენს მიერ განცდილსა და გადატანილზე..."

„...შეუძლებელია ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშის ხიტყვებით გადმოცემა. იგი უნდა ნახო, იგრძნო. ამიტომაც ძნელია ამ ფილმზე ლაპარაკი... გოგი ნიჭიერია და ყველაფერი, რასაც იგი აკეთებს, ნიჭიერად გამოსდის..."

„...ჩემთვის გოგის ყველა ფილმი ერთი დიდი ფილმია, რომელშიც მკაფიოდაა გამოკვეთილი ავტორისეული პოზიცია. ეს პოზიცია ადამიანის სიყვარულია..."

ეს გახლავთ ფრაგმენტები შეფასებებიდან, რომლებიც გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილის ახალ ფილმს მისცეს თბილისის კინოს სახლში მისი პრემიერის შემდეგ.

ფილმის დემონსტრირებისას, სამწუხაროდ, ვერ ვხედავდი რეჟისორს, მის სახეს. იგი, მგონი, სადღაც კუთხეში იჯდა, წინა რიგებში; სიბნელეში რას გაარჩევ! ან იქნებ სულაც არ იყო დარბაზში... ყველა შემთხვევაში დასანანია, იმიტომ რომ... დიდი ხანია მინდოდა მენახა, მით უმეტეს — მისი ნამუშევრების გარჩევის დროს, ადამიანი, რომელმაც გადაიღო ისეთი ბრწყინვალე ფილმი, როგორიცაა „ათოვდა ზამთრის ბაღებს". (რადგან თავი ვერ შევიკავე და ამ ფილმს შევეხე — უნდა ითქვას, რომ იგი ბევრმა გამომსვლელმაც გაიხსენა — კიდევ რამდენიმე სიტყვის უფლებას მივცემ თავს: ისე მოხდა, რომ „ათოვდა ზამთრის ბაღებს" ჩემთვის არცთუ ისე ბედნიერ დროს, რაც მთავარია, შინიდან მოშორებით ვნახე. პირველივე კადრებმა, როგორც მახსოვს — არაბუნებრივად ნათელმა, თითქოს დროისა და სივრცის მიღმა არსებული მოქმედებით, მაზიარეს გმირის განწირულებას და მაიძულეს ახალი თვალით, თითქმის კოსმიური სიმაღლიდან შემეხედა საკუთარი პრობლემებისათვის. როგორი წვრილმანი, ფუჭი, უბადრუკი მომეჩვენა ყველაფერი... ასეთია ლევაშოვ-თუმანიშვილის ამ ფილმთან დაკავშირებული ნათელი სევდით ავსებული ჩემი მოგონებები).

შემდეგ, უკვე ფილმის განხილვისას იგი კარის წირთხლს მიყრდნობილი მშვიდად უსმენდა გამომსვლელთ. მისი სახე, მთელი მისი გარეგნობა ბევრს ახალს ეტყოდა დაკვირვებულ ადამიანს, დაანახვებდა იმას, რაც უშუალოდ არ შესულა მის არც ერთ ფილმში. რატომ — უშუალოდ? იმიტომ, რომ ყოველ რეჟისორს, იმის მიუხედავად, უნდა მას ეს თუ არა, ყოველ თავის ფილმში საკუთარი „მე"-ს ნამცეცი შეაქვს. ეს აქსიომაა. არც გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილია გამონაკლისი. მან თავის ახალ ფილმშიც ჩადო საკუთარი „მე"-ს ნამცეცი. გაცილებით მეტიც. იგი



მთლიანად არის ამ ფილმში — ნაღდი თბილისელი, თავისი მსუბუქი ირონიით, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ; ადამიანისადმი გულწრფელი სიყვარულით ეროვნების, რწმენის, ასაკისა და პროფესიის მიუხედავად; დიდი ტკივილით, რომელსაც ძალადობა ჰქვია; და დაუშრეტელი რწმენით, სიკეთის რწმენით.

მაინც რაზეა ეს ფილმი? საქართველოზე, ქვეყანაზე, რომელიც მრავალი ათეული წლის წინათ პირველად იხილეს ფილმის მთავარი გმირის სახელოვანმა თანამემამულეებმა მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა; ქართველებზე, რომელთა ხასიათში კეთილგანწყობილმა ინგლისელებმა უარყოფითზე მეტი დადებითი აღმოაჩინეს. მაგრამ ფილმი არა მხოლოდ ინგლისზე და ინგლისელებზე მოგვითხრობს, რა ვიცით ჩვენ ერთმანეთზე, ჩვენი ურთიერთობის საწყისებზე, ჩვენი ქვეყნების დღევანდელ დღეზე? არ შეიძლება არ მოგხიბლოს ფილმში წრფელმა და ბუნებრივმა პასუხებმა ამ და ქართველი თუ ინგლისელი ხალხებისათვის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხებზე.

...ახალგაზრდა ინგლისელი მსახიობი ქალი ალექს კინგსტონი საქართველოში ჩამოვიდა და საოცარი სილამაზისა და სიუხვის ქვეყანა აღმოაჩინა. აქ ლამაზი და უხვია არა მხოლოდ ბუნება — ბოლოს და ბოლოს ყველა ქვეყანა ამ მხრივ განუმეორებელია — არამედ ადამიანური ურთიერთობები — საოცრად კეთილმოსურნე, გულღია. შეუძლებელია ამ მიწის მიმართ თბილი და კეთილი გრძნობებით არ განიმსჭვალო.

ალექსის სახით — მისი თანამემამულეების, და-ძმა უორდროპების მსგავსად — საქართველომ კიდევ ერთი ერთგული თაყვანისმცემელი შეიძინა.

შემდეგ კი ალექსთან ინგლისში სტუმრად ჩადის მისი ახალი მეგობარი — სალომე მხეიძე.



ახლა უკვე ჩვენს თანამემამულეს აჩვენებს თავის სახეს შორეული ალბიონის ქვეყანა...

არა, უმადური საქმეა დოკუმენტური ფილმის მოყოლა. რადგან ეს ყველაფერი, მართალია, არის ფილმში „ვეძებთ მარჯორისა და ოლივერს", მაგრამ ჩემთვის იგი სხვა რამეზეა.

მაინც რაზეა ფილმი? მე არ მაქვს პრეტენზია ფილმის პროფესიონალური თვალსაზრისით გარჩევისა (ამას, დარწმუნებული ვარ, კინომცოდნეები ჯეროვნად გააკეთებენ) და მითუმეტეს — არც უეჭველი ჭეშმარიტების დადგენისა, მაგრამ ვეცდები ვუპასუხო ამ კითხვას.

წარმოიდგინეთ:

ცხოვრობს ჩვენს პლანეტაზე ხალხი. აშენებს, ქმნის, ზრდის... და უვლის ვაზს. ვაზი მისი ქვეყნის სიმბოლოა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. ამ ხალხს უძველესი ფესვები აქვს, მრავალსაუკუნოვანი კულტურული ტრადიციები. ვაზისაგან ჯვარი გააკეთა, მისი ნათელით მოინათლა, ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში ქრისტე იწამა და მის სახელზე ტაძრების შენება დაიწყო. და არა მარტო საკუთარ მიწაზე. ეს ხალხი გულღიაა, კეთილი, მტკიცე და მამაცი, ამავე დროს თავაწეული ელობება ბოროტებასა და უბედურებას.

და აი, ისტორიის რაღაც ეტაპზე იგი მსოფლიოსაგან სრულიად მოწყვეტილი აღმოჩნდა, გამიჯნული რაღაც ყრუ კედლით. მას კი ძალიან სჭირდება უბრალო, ადამიანური ურთიერთობა, რომლის გარეშეც შეუძლებელია არსებობა. ეს ხალხი იბრძვის, ახკდება კედელს, სურს გაიგონონ მისი ხმა, დაინახონ, სურს თავად შეხედოს სხვებს ასე უკიდეგანო (მთელი პლანეტა) და ასე პატარა (მხოლოდ ერთი პლანეტა) მსოფლიოში, მაგრამ...

„გაგიგიათ რაიმე საქართველოზე?".

„არა"...

მაგრამ ხომ მღერის უცნობი ბარდი ლონდონის ქუჩებში სიმღერას მისისიპსა და ლუიზიანაზე სწორედ იმ ქუჩებში, სადაც ფანტასტიკური (ჩვენთვის, ქართველებისათვის) გულგრილობით გარემოცულ ორ ასითსავე უცნობ ადამიანს ამაყად მოაქვს შინდისფერი დროშა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა...

„საქართველო? ვიცი, სადღაც ოდესასთან უნდა იყოს"...

გოგის ფილმი ამ ყრუ კედლიდან გამოღებული ერთი აგურიაო, შენიშნა ჩვენებაზე ჩემს გვერდით მჯდომმა კოლეგამ და ამით ჩემი სათქმელიც გამოხატა.

სცენარის ავტორმა და რეჟისორმა გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილმა ფილმის ეპიგრაფად დიდი შოთას სიტყვები გამოიყენა: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".

დიახ, ჩვენ მივდივართ მსოფლიოს ხალხებთან სამშვიდობოდ, სასიკეთოდ, სასიყვარულოდ... ჩვენ ძალიან ცოტა გვინდა — გვინდა რომ გვიცნობდნენ. ძალიან ბევრიც გვინდა — გვინდა, რომ არ არსებობდნენ კედლები, რომლებიც ადამიანებს, მთელ ხალხებს პატიმრებივით გამოამწყვდევენ, რომლებიც ელობებიან მათ სასიცოცხლო, უძველეს და ყველაზე მშვიდობიან მოთხოვნილებას — ურთიერთობას.

**დალი მეტრეველი**

**ბადრი ვადაჭკორიას** ფოტოები.



# თითქმის ანეკდოტი

ალბათ გახსოვთ ერთი ძველი ანეკდოტი:

ელბაქიძის დაღმართზე მიმავალ ტროლეიბუსს ვილაც კაცი გამწარებული მისდევდა. უკანა კარებში გაჩხერილი ბიჭები სიცილით იჭაჭებოდნენ და შეხტომას არ აცლიდნენ — ბიძა, შემდეგს დაელოდეთ.

მე კი დაველოდები შემდეგს, თქვენ იკითხეთ, თქვენ იკითხეთ თქვე საცოდავებო, მაგ ტროლეიბუსის მძღოლი ვარო!

ანეკდოტი ანეკდოტად, მაგრამ...

თბილისში, მელიქიშვილის ქუჩაზე მდგარ ტაქსს, ეტყობა, მოწყინდა უპატრონოდ დგომა, თან ალბათ მთელი დღის ნაჭანჭყარებს დასვენებაც მოუნდა. ერთი თქვენიო... ჯერ ნელა დაიძრა, მერე თანდათან მოუმატა სიჩქარეს, ცრუ მოძრაობით გვერდი აუარა შემხვედრ თუ მდგარ ავტომანქანებს. მერე — ხეებსაც. გარდიგარდმო გადაჭრა მთელი ქუჩა.

მიუხედავად მძღოლის ყვირილისა, თავქუდმოგლეჯილი რომ მოსდევდა თავის მარჩენალს, დაიჭით არ გაუშვათო, მისი დამჭერი უკვე აღარავინ იყო. მანქანამ აუარა გვერდი ყველას და ყველაფერს და ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაზონებზე მშვიდად წამოწვა... იქნებ მართლა დასვენება უნდოდა, მაგრამ რას იფიქრებდა, რომ საერთო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებოდა. გარშემო იმავე წუთში იმდენი ხალხი შემოეხვია, თავ-ბედი იწყევლა, ვმდგარიყავი ჩემთვის, სადაც ვიდექი, რა მრჯიდაო!

**ბადრი ვადაჭკორია**

ავტორის ფოტოები.

# ჟღერდა ქართული მუსიკა

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალურ სამუსიკო სკოლაში არაერთი ცნობილი ქართველი კომპოზიტორი აღზრდილა, რომელთა სახელებს დღეს კარგად იცნობს მუსიკალური საზოგადოება. აქ სისტემატიურად ტარდება მოსწავლეთა კონცერტები, რომლის პროგრამაშიც მხოლოდ ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებია.

ამას წინათ სკოლაში გაიმართა კიდევ ერთი ასეთი კონცერტი. კონცერტის I განყოფილება უმეტესად საფორტეპიანო მინიატურისაგან შედგებოდა. მეტად საზოვნად შესრულდა ნ. გუდიაშვილის ორი საბავშვო მინიატურა, ო. თაქთაქიშვილის საფორტეპიანო პიესა, ს. ნასიძის ნაწარმოებები.

სკოლაში არაერთი მოსწავლეა, რომელიც თავის ძირითად სპეციალობასთან ერთად, ეუფლება კომპოზიციის საფუძვლებს.

კონცერტის მეორე განყოფილებაში მოსწავლეები გამოვიდნენ არა მარტო როგორც პიანისტები, არამედ როგორც ანსამბლის წევრებიც.

**ალეკო შანიძე,**

კომპოზიტორი.

**მარტის დამდეგს იუგოსლავიის დედაქალაქმა ბელგრადმა უმასპინძლა ქალთა ტრადიციულ, 24-ე საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც ქართველი მოჭადრაკეებიც გამოდიოდნენ — საერთაშორისო დიდოსტატი ნინო გურიელი და საერთაშორისო ოსტატი ქეთევან კახიანი, გთავაზობთ საუბარს ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ნინო გურიელთან.**



# „გულშემატკივრებსაც უნდა გავუწიოთ ანგარიში!"

**— თქვენ ბევრჯერ გითამაშიათ ბელგრადის საერთაშორისო ტურნირში...**

— დიახ, ამ შეჯიბრებაში წლეულს მეოთხედ გამოვედი. ჩემთვის პირველ და მესამე ტურნირებში მეორე პრიზები მოვიპოვე, მეორედ და მეოთხედ კი გავიმარჯვე. ასე რომ, მეხუთედ აღარ ვითამაშებ, თორემ მეორე ადგილი არ ამცდება.

**— რატომ, იქნებ დაირღვეს ტრადიცია?**

— ვინ იცის. ეს ტურნირი მეათე კატეგორიისა გახლდათ, მისი საშუალო რეიტინგი 2285 იყო. ორგანიზატორებმა საერთაშორისო დიდოსტატისა და საერთაშორისო ოსტატის ნორმებიც დააწესეს (7,5 და 5,5 ქულა), მაგრამ ვერავინ შეძლო მათი შესრულება. სამწუხაროდ, არ გაუმართლა ქეთინო კახიანსაც. მას ხომ მხოლოდ ერთი ბალიღა სჭირდება დიდოსტატის წოდების მოსაპოვებლად. ქეთინომ სტარტზე რამდენიმე პარტია წააგო და, როგორც ჩანს, ამან ძალიან იმოქმედა მასზე. რაც შემეხება მე, თბილისიდან მოსკოვამდე შედარებით მშვიდად ვიფრინე და ამას, პირველ ყოვლისა, უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს ვუმადლი. ბედნიერება მქონდა ეს ორი-ორსაათნახევარი მასთან ერთად მემგზავრა. მერე კი დაიწყო ჯოჯოხეთი, თავად განსაჯეთ, ჩვენი მარშრუტი ასეთი იყო: მოსკოვი-პრაღა-ზაგრები-ბელგრადი. გზამ ძალიან ცუდად იმოქმედა ჩემზე — ისედაც ვერ ვიტან თვითმფრინავით მგზავრობას. ამიტომ სტარტიდანვე ორი პარტია გამოვტოვე. ყველაფერი ბოლო ტურის წინა დღემ გადაწყვიტა, რომელიც გადადებული პარტიების დასამთავრებლად იყო გამოყოფილი. ორივე გამოტოვებული პარტია შავებით ვითამაშე და ორივეში გავიმარჯვე. მოვიგე ბოლო ტურის შეხვედრაც და 7 ქულით პირველობა მოვიპოვე. მართალია, ბოიკოვიჩმაც და ვოისკამაც 7-7 ქულა მოაგროვეს, მაგრამ მე უკეთესი კოეფიციენტი მქონდა. ამას გარდა, გავიმარჯვე გაზეთ „პოლიტიკა ექსპრესის" მიერ ჩატარებულ შერეულ ბლიცტურნირშიც.

შეჯიბრება მეტად თბილ ვითარებაში ჩატარდა, მეტოქენი კეთილად ვიყავით ერთმანეთისადმი განწყობილი. მიგვიღო ქალაქის მერმა, ტურნირის დახურვას კი ნოვი სადის ოლიმპიადის გენერალური დირექტორიც დაესწრო. იგი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა მოჭადრაკე ქალთა წლევანდელ ოლიმპიურ გუნდში მხოლოდ ქართველები იქნებიან. მე, რა თქმა უნდა, დავეთანხმე, ოღონდ ერთი შესწორებით — არა საბჭოთა ნაკრების, არამედ საქართველოს ეროვნული გუნდის შემადგენლობაში-მეთქი. ბოლოს მან საჩუქრად გადმომცა ოლიმპიადის სიმბოლო, საკმაოდ „მძიმეწონიანი" ფუტკარი. იუგოსლავიაში „გოშას" პრეზიდენტსაც შევხვდით. მან გვითხრა, ჩვენი ვაჟები სერიოზულად ემზადებიან თქვენთან შეხვედრისთვისო. მკითხველებს ალბათ ახსოვთ, ორი წლის წინ საქართველოს ქალთა გუნდი თბილისში დამარცხდა კლუბ „გოშას" ვაჟებთან და ახლა ჩვენც რევანშისთვის ვემზადებით. ეს მატჩი 2-3 მაისს უნდა გაიმართოს სმედერევსკა-პალანკაში. ამის შემდეგ საქართველოს ქალთა გუნდის პულის დიდოსტატ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე ეპატიჟებიან. ამ შეჯიბრებაში შარშან მეც ვითამაშე.

**— რაკი მომავალ გეგმებზე ჩამოვარდა სიტყვა, კიდევ რომელ ტურნირებში მოგიწევთ მონაწილეობა? პირველ ყოვლისა ალბათ, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი უნდა დავასახელოთ, რომელშიაც თითქმის ყველა ჩვენი დიდოსტატი ითამაშებს.**

— სამწუხაროდ, თითქმის ყველა და არა — ყველა. გთხოვთ, რასაც ახლა ვიტყვი, უცვლელად, შეულამაზებლად დაბეჭდოთ. გთხოვთ კი არა, კატეგორიულად მოვითხოვ: ყოვლად გაუგებარია, რატომ არ თამაშობს საქართველოს ჩემპიონატში მაია ჩიბურდანიძე. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი ჩვენი მოჭადრაკე ქალი მიიღებდა მაიას წინადადებას და ამ ეროვნულ პირველობას წლის ნებისმიერ დროს ჩაატარებდა. მსოფლიო ჩემპიონის უარი იმიტომაცაა გაუგებარი, რომ თუკი ჩვენი რესპუბლიკა რაიმეს გაკეთებას აპირებს დამოუკიდებლობის გზაზე, ღრმად მწამს, რომ ამ საქმეში გარკვეული წვლილი საქართველოს მოჭადრაკე ქალებმაც უნდა შევიტანოთ. არ ვდავობ, ფეხბურთი ალბათ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სპორტის უპირველესი სახეობაა, მაგრამ ჭადრაკიც ხომ ერთ-ერთი წამყვანი სახეობაა ჩვენთან. თუნდაც ის რად ღირს, რომ საქართველოს ორი მსოფლიო ჩემპიონი და ძალიან ბევრი საერთაშორისო დიდოსტატი თუ ოსტატი ჰყავს ქალთა თუ ვაჟთა შორის. აი, ამიტომაც, ვფიქრობ, ეროვნულ მოძრაობას გარკვეული იმპულსი ჩვენც უნდა მივცეთ. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობაა. მართალია, ერთის გარდა ყველა საერთაშორისო დიდოსტატმა განაცხადა მონაწილეობის სურვილი, მაგრამ, მერწმუნეთ, მსოფლიო ჩემპიონი მაინც სულ სხვაა. იგი ხომ ტურნირს განსაკუთრებულ ელფერსა და სილამაზეს შემატებს. ესეც არ იყოს, თუ გვინდა, რომ ფიდე-სთან რაიმე ურთიერთობა დავამყაროთ და მას „გული მოვულბოთ", საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ცხრილი უნდა წარვუდგინოთ. ამ ტურნირში იმდენად დაკავებულ ადგილებსა და შედეგებს არ ექნება მნიშვნელობა, რამდენადაც შეჯიბრების მონაწილეთა ვინაობას. ჩვენ ახლა კონსოლიდაცია და ერთობლივი ძალით ბრძოლა გვჭირდება იმისთვის, რომ ფიდე-ს წევრები გავხდეთ და არაფერს გვარგებს გარიყულობა. მსოფლიო ჩემპიონს ბევრის გაკეთება შეუძლია. მაიამ ბევრი მიიღო რესპუბლიკისგან და ვალდებულია, ხალხს სცეს პატივი, გულშემატკივრებს გაუწიოს ანგარიში.

**ესაუბრა დავით ჭელიძე**

# საჭადრაკო მიმოხილვა

## გარი კასპაროვი კმაყოფილია

ალბათ გახსოვთ, ამას წინათ ანატოლი კარპოვსა და ჰოლანდიელ იან ტიმანს შორის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის წინ გარი კასპაროვი დაუფარავად ქომაგობდა კარპოვს, მისი გამარჯვება სურდა. არადა, თითქოს პირიქით უნდა ყოფილიყო. იგი ხომ უფრო ადვილად გაუმკლავდებოდა ტიმანს ჭიდილში ჭადრაკის მეფის ტახტისთვის. მაგრამ კასპაროვს არ ავიწყდებს ის, რომ მან 1987 წელს სევილიაში (ესპანეთი) ვერ დაუმტკიცა კარპოვს თავისი უპირატესობა, მხოლოდ ტახტის შენარჩუნება შეძლო. ახლა სჯერა, რომ დაიკმაყოფილებს დაუკმაყოფილებელ სურვილს.

ანატოლი კარპოვიც კერკეტი კაკალია. ის მზადაა შეხვდეს თვითდაჯერებულ ჩემპიონს. მასაც სჯერა თავისი ბედის ვარსკვლავისა. მარტში შორეულ მალაზიაში მან პირდაპირ გაანადგურა იან ტიმანი. ცხრა პარტია ეყო მოცემული თორმეტის ნაცვლად, რომ გაეხარებინა გარი კასპაროვი: კარპოვმა გაიმარჯვა ანგარიშით 6,5:2,5 (ოთხი პარტია მოიგო და ხუთი ყაიმით დაამთავრა). მისი უპირატესობა ტიმანმაც აღიარა.

მაშ ასე, წინაა კასპაროვ-კარპოვის ახალი შეხვედრა. ეს იქნება 1984 წლიდან მათი ზედიზედ მეხუთე მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. შეჯიბრებაში 24 პარტია უნდა გათამაშდეს.

შეხვედრა დაიწყება 7 ოქტომბერს ნიუ-იორკში, მერე, მეცამეტე პარტიიდან, იგი ლიონში (საფრანგეთი) გაგრძელდება. ორთაბრძოლისადმი ინტერესი იმდენად დიდია, რომ მეტოქეთა დასაჯილდოებლად 4 მილიონ 100 ათასი შვეიცარიული ფრანკი გამოიყო. ამ თანხის 62,5 პროცენტს მიიღებს გამარჯვებული, დანარჩენს დამარცხებული. ამხელა საპრიზო ფონდი რობერტ ფიშერის დროსაც არ ყოფილა, რომ არა ვთქვათ უფრო ადრე.

ჭადრაკის სამყარო ახალი „საუკუნის მატჩის" მოლოდინშია.

## ახლა ივნისში. ზუგდიდში

ორიოდე დღის წინ ტყიბულში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა I ლიგის ტურნირი. მას უნდა დაესახელებინა საქართველოს ვაჟთა 47-ე ეროვნული ჩემპიონატის სამი მონაწილე.

ცხრა ქალაქის 17 მოჭადრაკის ასპარეზობამ სამ კვირას გასტანა. თითქმის ბოლომდე საგზურების მოპოვების შანსი რამდენიმე მოჭადრაკეს ჰქონდა. ფინიშთან პირველი მიიჭრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ხვიჩა სუპატაშვილი (12,5 ქულა). მეორე-მეხუთე ადგილები გაიყვეს თსუ სტუდენტებმა გივი გოგიჩაიშვილმა, კახა შალამბერიძემ, იანის პოპოვმა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ნუკრი მანაგაძემ (თითოეულს 11,5 ქულა). მაგრამ ქალმერთმა კაისამ საგზურები გივის და კახას არგუნა (კოეფიციენტთა ცხრილით მათ უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა).

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ივნისში ზუგდიდი უმასპინძლებს. სადასპარეზოდ მიწვეულია ყველა ჩვენი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი, აგრეთვე თბილისის ჩემპიონი რევაზ კაკაბაძე. სტარტზე 16 მოჭადრაკე გამოვა.

მოჭადრაკეთა ამ დიდ ფორუმში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძეც (იგი ხომ ვაჟთა შორისაც საერთაშორისო დიდოსტატია), რომელმაც ამის სურვილი განაცხადა.

ასე რომ, ამ ზაფხულს დიდებული ჩემპიონატის მხილველი ვიქნებით.

## ახალი ასოციაცია

ამას წინათ შეიქმნა საქართველოს მედიკოს-მოჭადრაკეთა ასოციაცია, რასაც თბილისის ექიმთა ტრადიციული პირველობა მიეძღვნა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა სამედიცინო ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა დავით ლობჟანიძემ (10-დან 9 ქულა).

—ჩვენი ასოციაციის მიზანია ჭადრაკის მოყვარული ექიმების საზოგადოებრივი კავშირის შექმნა და სპორტული კავშირების დამყარება სხვა რესპუბლიკების და საზღვარგარეთის მედიკოს-მოჭადრაკეებთან, — გვითხრა დოცენტმა ზურაბ ჩაჩუამ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა.

**თენგიზ გიორგაძე,**
**საერთაშორისო არბიტრი.**

# გან-მარ-ტება

**ქარელში ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ფილიალმა გამოსცა გაზეთ „ყინწვისის" პირველი ნომერი, რომლის პუბლიკაციაში — „ბრძოლა საჭიროა საერთო მტრის წინააღმდეგ" მოყვანილია მიტინგზე წარმოთქმული ბატონ ზვიად გამსახურდიას სიტყვები. მასში, რედაქციის მიზეზით, არაერთი შეცდომაა დაშვებული, ბევრი სიტყვა საერთოდ არ ეკუთვნის ზ. გამსახურდიას.**

გაზეთ „ყინწვისის" რედკოლეგიის წევრები:

**თამრიკო თანდილაშვილი, დათო ჭაბუკაშვილი, ზურაბ ვალიშვილი, ზურაბ ბანკანაშვილი**

# განცხადებები

**ჯარისკაცთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საქველმოქმედო საზოგადოების საინიციატივო ჯგუფი თანაუგრძნობს 1990 წლის 24 მარტს ხულოს რაიონულ ცენტრში გამართულ სამგლოვიარო მიტინგის მონაწილეებსა და დაღუპულთა ოჯახებს, მხარს უჭერს მიღებულ რეზოლუციას.**

**აღნიშნულ საკითხს საინციატივო ჯგუფი განსახილველად შეიტანს საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე, რომელიც გაიმართება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში ა. წ. 4 აპრილს, 16 საათზე.**

**საინიციატივო ჯგუფი.**

## სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაცია იუწყება

რომ ა. წ. 6 აპრილს, პარასკევს, სამ საათზე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის შენობაში, პირველ სართულზე, წითელ დარბაზში, გაიმართება საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

კონფერენციაზე ვიწვევთ დაინტერესებულ ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს, გამოჩენილ სპორტსმენებს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს.

გთხოვთ დაესწროთ.

**საორგანიზაციო კომიტეტი**

1990 წლის 4 აპრილს 19 საათზე ქ. თბილისში აკაკი ხორავას მსახიობის სახლში (კიროვის ქ. № 11-ა) გაიმართება საქველმოქმედო საზოგადოება „ჰერეთის" შექმნის დამფუძნებელი კრება.

საქველმოქმედო საზოგადოება „ჰერეთის" შექმნის მთავარ მიზანს წარმოადგენს საინგილოში არსებული საზოგადოებრივი კულტურული პრობლემების მოგვარება, ამიტომ საზოგადოების შექმნის საინიციატივო ჯგუფი მოგმართავთ თხოვნით საქართველოში მცხოვრებ ინგილოებს, აგრეთვე საინგილოს კულტურით დაინტერესებულ ინტელიგენციას მონაწილეობა მიიღოთ დამფუძნებელი კრების მუშაობაში.

**საინიციატივო ჯგუფი.**

## მარკეტინგი და საქმიანობის ბიზნესი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის სოციალური მართვის ცენტრის **მარკეტინგის სკოლა** სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად მოწოდებულია გაშალოს სამკვირიანი სასწავლო პროცესი მსმენელთა წარმოებიდან მოწყვეტით.

მისი მიზანია ორიენტაცია მისცეს სახელმწიფო, კოოპერატიულ და ინდივიდუალურ (შრომითი კერძო) საკუთრების საწარმოთა სამმართველო ქცევის ლოგიკას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდისა და თვით საბაზრო ეკონომიკის პირობებისათვის.

მარკეტინგის, როგორც მართვის ფუნქციის და ბიზნესის „ფილოსოფიის" ცოდნა მოითხოვს ამ დარგში შემოქმედებითი ქცევის ათვისებას. იგი იძლევა მართებულ ორიენტაციას, რომ სოციალურად სამართლიანი გზით ყოველ საწარმომ შექმნას თავისი ბიზნესი.

წაკითხული იქნება აქტიური ხასიათის ლექციები შემდეგ თემებზე:

**1. შესავალი ბაზრის თეორიაში;**
**2. მარკეტინგული მართვის საფუძვლები;**
**3. სამეურნეო მექანიზმი და საწარმოთა მარკეტინგული საქმიანობის საფუძვლები;**
**4. მარკეტინგი და ფასები;**
**5. საერთაშორისო მარკეტინგი;**
**6. არენდული ურთიერთობანი;**
**7. კოოპერატიული მეწარმეობა.**
**8. მარკეტინგის ფსიქოლოგია.**

ლექციებს გარდა, წამოჭრილი პრობლემების (საკითხების) გარჩევის მიზნით მოეწყობა შეხვედრები მრგვალ მაგიდასთან, ლექტორების მმართველ ხელმძღვანელებსა და მსმენელებს შორის.

მაღალორგანიზებული და დაძაბული მუშაობით მსმენელები მიაღწევენ სასურველ შედეგებს.

სწავლების ღირებულება 1000 (ათასი) მანეთი.

პირველი ნაკადის სასწავლო პროცესი დაიწყება 23 აპრილს.

ცნობებისათვის გთხოვთ მიმართოთ სოციალური მართვის ცენტრს:

**ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. № 6.**

**ტელეფონები: 93-23-54; 93-76-43; 93-79-62.**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის სოციალური მართვის ცენტრი;**

**საქართველოს სსრ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი „ცოდნა".**

# სიმბოლური და დამსახურებული

ეროვნული ბიბლიოთეკა





საქართველოს პირველი დამოუკიდებელი ჩემპიონატის პირველი მატჩი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა.

მისი შედეგი ბევრმა სენსაციად მიიღო. ერთი შეხედვით, ეს ასეცაა, მაგრამ...

რატომ უნდა ჩაითვალოს ფაზისელთა ეს გამარჯვება სიმბოლურად. და მეორეც — ფოთელთა გუნდი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა თავის მრავალნაცად მეტოქეს.

მოკლედ, გაუცრუვდათ სკეპტი-





მაგრამ რატომღაც მგონია, რომ სხვაგვარად თითქოს არც უნდა მომხდარიყო, რომ ეს შედეგიც მრავალი მიზეზის გამო, გარკვეულწილად კანონზომიერი გახლდათ.

ჯერ ერთი, და ყველაზე მთავარი, იმიტომ, რომ ქართული ფეხბურთის აკვანი ფოთში დაირწა. ალბათ, ზედმეტია იმის ახსნა, თუ

კოსებს იმედი — ცალ კარში თამაში არ შედგა.

ბევრი რამ პირველად იყო იმ დღეს — 1990 წლის 30 მარტს, დღეს, რომელსაც ამიერიდან ქართული ფეხბურთის ვერც ერთი მემატიანე გვერდს ვერ აუვლის.

იმ დღეს ეროვნული სტადიონის — „თავისუფლების" ერთგვარი კუნძულის" — ტრიბუნებიდან სრულიად საქართველოს პირველად მისწვდა „დიდების", „შავლეგოსა" და „ჩემო კარგო ქვეყანას" გუგუნი...

პირველად აფრიალდა სამფეროვანი დროშა...

პირველად დალოცა თავისი მრევლი უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, და, ალბათ პირველად მოხდა ისე, რომ მის დალოცვას ტაშით შეხვდნენ...

პირველად მიმართა ასე ამაყად გახარებულმა ზვიად გამსახურდიამ თანამემამულეთ...

პირველად არ ჰქონდა ათეული ათასობით მაყურებელს სპორტული ბრაზი, ძლიერზე გამარჯვების უსაზღვრო წადილი...

პირველად...

და კიდევ... პირველი დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის დაწყების წინ გაზეთ „თბილისში" დაიბეჭდა თემურ შენგელიას საინტერესო მოსაზრება, იმის შესახებ,






რომ ეწოდოს თბილისის ცენტრალურ სტადიონს „თავისუფლების სტადიონი".

თქმა არ უნდა, საყურადღებო წინადადებაა და ჩემი აზრით, დროულად განსახორციელებელიც.

„თავისუფლების სტადიონზე" ქართველი კაცი სხვა ხალისით მივა.

**ვიგლა გოგეჩია**

**ბადრი ვადაჭკორიას**
ფოტოები.

**გაიმართა** საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის სხვა მატჩები. გთავაზობთ მის შედეგებს.

„ქუთაისი"-ზუგდიდის „ოდიში" — 2:1, „ოზურგეთი"-ოჩამჩირის „ამირანი" — 1:0, სამტრედიის „სანავარდო"-ცხინვალის „ლიახვი" — 3:0, „ბათუმი"-რუსთავის „გორდა" — 1:0, გალის „მზიური"-ხაშურის „იველია" — 1:0, ხობის „კოლხეთი"-წყალტუბოს „სამგურალი" — 3:1, „გურია"-გორის „დილა" — 1:0, თბილისის „შევარდენი"-სოხუმის „ცხუმი" — 1:1.

რედაქტორი
**მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის [illegible] სტამბა. [illegible], თბილისი-96, კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქორაუსზე, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13

უე 08359